# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 14-15 ოქტომბერი. 2020 წ. №132-133 (9058-9059) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


## უვიცობისა და დაუდევრობის სავალალო შედეგი

8

## „თუ ლალვანის ქედი და ხუჯაბის მონასტერი უკვე გასულია ჩვენი სივრციდან, მაშინ ყურადღების გადატანა მექანიკურად ხომ არ მოხდა დავით გარეჯზე“?!

## კარტოგრაფიული აბრაკადაბრა და სანდროს მარში გარეჯში

9

## ბოლო 24 საათში საქართველოში კორონავირუსით 9 პაციენტი გარდაიცვალა

SOS!

**საქართველოში** კორონავირუსით კიდევ 9 პაციენტი გარდაიცვალა. ინფორმაცია გუშინ ვებგვერდ StopCov-ზე განახლდა. საქართველოში კორონავირუსით გარდაცვლილთა რაოდენობა 102-ს შეადგენს.

საქართველოში კორონავირუსი კიდევ 569 ადამიანს დაუდასტურდა, 329 პაციენტი კი გამოჯანმრთელდა.

ამ დროისთვის საქართველოში კორონავირუსის 12272 შემთხვევაა დადასტურებული, გამოჯანმრთელებულია 6538 ადამიანი, გარდაიცვალა 100-ზე მეტი პაციენტი.

კარანტინის რეჟიმში 5590 ადამიანი რჩება, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ — 836, უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილია საქართველოს 41 მოქალაქე.

## გიორგი გახარიამ არაერთხელ გამოიყვანა ქვეყანა კრიზისიდან!

4

## მანდილოსანი, რომელიც თავისი დროის უტყუარ ბიოგრაფიას წერს

3

## ელჩის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საგრანტო კონკურსი

**გამოცხადდა** აშშ-ის ელჩის **კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საგრანტო კონკურსი,** — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ავრცელებს.

**„ელჩის ფონდმა საქართველოში დღემდე 41.5 მილიონამდე ღირებულების პროექტები დააფინანსა. იმედი გვაქვს, რომ ჯვრის მონასტრის პროექტის მსგავსად, საქართველოდან 2021 წელსაც გამოვლინდება გამარჯვებული და კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლის შენარჩუნებას დავეხმარებით. საგრანტო პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე“,** — ნათქვამია აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ზარი წუხლისა და განგაშისა!

5

**ხანდაზმულთა მიმართვა ხელისუფლებას, ქართველ საზოგადოებას**

## ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საინვესტიციო პროექტი ყულევში, შესაძლოა, ყარაბაღის კონფლიქტმა შეაყოვნოს!

5

## ბრძოლა დრონებით: მომავლის ომის სახე მთიან ყარაბაღში

11

## ნათია თურნავა: საქართველოს ეკონომიკა თანდათან პოზიტიურ განვითარებას უბრუნდება

**საქართველოს ეკონომიკა თანდათან უბრუნდება პოზიტიურ განვითარებას. გამოქვეყნდა სექტემბრის თვის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა და ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენი ექსპორტი სექტემბერში 8.6 პროცენტით გაიზარდა. პარალელურად, იმპორტი შემცირდა და ეს ნიშნავს საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას,** — ასეთი კომენტარი გააკეთა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ „საქსტატის“ მიერ 2020 წლის სექტემბრის საგარეო ვაჭრობის ექსპრეს-მონაცემების კომენტირებისას.

მინისტრის განცხადებით, ექსპორტის ზრდაში განსაკუთრებული წვლილი სასოფლო-სამეურნეო და საფეიქრო ნაწარმს მიუძღვის.

**„საქსტატის“ თანახმად, სექტემბერში ექსპორტი გაიზარდა და მისმა მოცულობამ 332 მლნ ლარი შეადგინა. ამავე დროს, გაუმჯობესდა სავაჭრო დეფიციტი 98,5 მლნ აშშ დოლარით. რაც შეეხება 2020 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდს, სავაჭრო დეფიციტი 752.6 მლნ. აშშ. დოლარით შემცირდა და 3,314.1 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა. იანვარ-სექტემბერში სავაჭრო დეფიციტმა საგარეო-სავაჭრო ბრუნვის 40.8 პროცენტი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 1.8 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა.**

## „საქართველოს საჰაერო სივრცე მხოლოდ ჰუმანიტარული და სამოქალაქო ხასიათის ფრენებს ახორციელებს“

**საქართველოს ხელთ არსებული დოკუმენტაციის თანახმად, ფრენები, რომელიც სრულდება საქართველოს საჰაერო სივრცეში, მხოლოდ ჰუმანიტარული, სამოქალაქო ხასიათისაა და სრულად შეესაბამება იკაო-ს სტანდარტებს,** — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლაშა დარსალიამ განაცხადა. ყარაბაღში ესკალაციის დაწყებისთანავე, საქართველოს მხრიდან შეჩერდა სამხედრო დანიშნულების ტვირთების ტრანზიტი სახმელეთო და საჰაერო გზით, როგორც აზერბაიჯანის, ასევე სომხეთის მიმართულებით.

**„კიდევ ერთხელ გვინდა, განვაცხადოთ, რომ სამხედრო ტრანზიტი საქართველოს ტერიტორიის გავლით არ ხორციელდება. საქართველოს ხელთ არსებული დოკუმენტაციის თანახმად, ფრენები, რომელიც სრულდება საქართველოს საჰაერო სივრცეში, მხოლოდ ჰუმანიტარული და სამოქალაქო ხასიათისაა, სრულად შეესაბამება იკაო-ს სტანდარტებს. საქართველო კვლავ აგრძელებს თავისი საერთაშორისო ვალდებულებების პირნათლად შესრულებას, ჰუმანიტარული და სამოქალაქო, მათ შორის კომერციული ტვირთების გატარების მხრივ. აღნიშნული ხორციელდება საერთაშორისო სამართლიან ნორმებთან, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის იკაო-ს რეგულაციებთან სრულ შესაბამისობაში. მიუხედავად ამისა, საინფორმაციო საშუალებებში გააქტიურდა ინფორმაციით მანიპულირება, თითქოსდა სამხედრო გადაზიდვები საქართველოს გავლით ხორციელდება სამოქალაქო ფრენების მეშვეობით.**

**კონკრეტული გადამზიდავისა და ტვირთის მფლობელის პასუხისმგებლობაა, სრულად დაიცვას საერთაშორისო სამართლის ნორმები და არ გამოიყენოს ბოროტად ჰუმანიტარული დერეფნები. დარღვევის აღმოჩენისა და მყარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში საქართველო მოახდენს შესაბამის რეაგირებას, დამრღვევებს მოეთხოვებათ პასუხი საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მათ შორის იკაო-ს წინაშე“,** — განაცხადა ლაშა დარსალიამ.

# სააკაშვილის სახელი ჰქვია ყველა იმ ტყვიას, რომელიც მოხვდა ადამიანებს და გამოასალმა სიცოცხლეს!

**მიხეილ სააკაშვილის სახელი ჰქვია ყველა იმ ტყვიას, რომელიც მოხვდა ადამიანებს და გამოასალმა სიცოცხლეს — ადამიანები, ცხედრები, ბრძოლის ველზე, მზის ქვეშ მიტოვებული — ამ ვითარებასაც ჰქვია სააკაშვილის სახელი,** — ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა და მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო გეგმები შეაფასა.

ვოლსკის აღიარებით, მიხეილ სააკაშვილი დესტრუქციული ძალაა და იგი ვერ უზრუნველყოფს საქართველოს პროგრესს.

**„სააკაშვილი დესტრუქციული ძალაა, მან ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა ქვეყანას. რასაკვირველია, რაღაც პროგრესული ნაბიჯებიც იყო თავიდან, მაგრამ როცა ჩვენ ვლაპარაკობთ უამრავ ადამიანზე, რომელიც ეწამა, სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საცხოვრისი, ქონება დაკარგა და იმაზე, რომ საქართველომ დაკარგა ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, რასაკვირველია, არ უნდა ვსაუბრობდეთ იმაზე, არის თუ არა სააკაშვილი ადამიანი, რომელსაც შეუძლია პროგრესი უზრუნველყოს საქართველოში“.**

# ქვეყნის მოღალატეთა პარტია უნდა აიკრძალოს!

**არასამთავრობო ორგანიზაციის „დავასრულოთ“ წევრი სოსო მანჯავიძე აცხადებს, რომ ორგანიზაცია გეგმავს, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ გაუქმების მოთხოვნით.**

„აი, რა წერია საქართველოს ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ.“

**თავი IV**
**პარტიის საქმიანობის შეწყვეტა**
**მუხლი 35**
პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

**მუხლი 36**
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პარტია, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება.

* * *

**როგორც ხედავთ, ეს მუხლი თითქოს „ნაციონალური მოძრაობის“ შესახებ არის დაწერილი.**

**ამიტომ, ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციამ — „დავასრულოთ“! გადავწყვიტეთ, საკონსტიტუციო სასამართლოს მივმართოთ ამ ე.წ. პარტიის გაუქმების მოთხოვნით.**

**საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწევს განიხილოს სარჩელში მოყვანილი ფაქტების ორგანული კანონის 36-ე მუხლთან შესაბამისობის საკითხი.**

**სარჩელს გავასაჯაროვებთ, რათა ყველას ჰქონდეს იქ მოყვანილ ფაქტებთან წვდომა და საშუალება, მხარი დაუჭიროს სარჩელს ხელმოწერებით, რისთვისაც მას მივცემთ პეტიციის ფორმას.**

**ცხადია, რომ სარჩელს ვთარგმნით და მივაწოდებთ დიპლომატიურ კორპუსს.**

**ეს მარაზმი ქვეყანაში ერთად უნდა დავასრულოთ!“,** — წერს სოსო მანჯავიძე.

## ფაშინიანი მოლაპარაკების დარღვევას თურქეთს აბრალებს

**„ცალსახად, ეს ომი არ დაიწყებოდა, თურქეთს რომ არ ეჩვენებინა საკუთარი მზაობა, სრულად მიეღო მასში მონაწილეობა და შედეგად, თურქეთი სრულად არ ყოფილიყო მასში ჩართული. მინდა, ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ საბრძოლო მოქმედებები დაიწყო, როგორც თურქეთისა და აზერბაიჯანის ერთობლივი სამხედრო სწავლების გაგრძელება“,** — აღნიშნა ნიკოლ ფაშინიანმა. სომხეთის პრემიერის თქმით, თურქეთის ყარაბაღის კონფლიქტში მონაწილეობა და ომის წაქეზება საჯაროდ ხდება.

**„თურქეთი ახლაც განაგრძობს საომარ მოქმედებებში მონაწილეობას. ეს თურქეთის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ცხადყოფს. ეს თურქეთის იმპერიის აღდგენაზე მიმართული პოლიტიკაა“,** — დასძინა ფაშინიანმა.

## ყარაბაღის არმიის საზენიტო სისტემები თითქმის განადგურდა

**რუსული** მედიისა და სამხედრო ექსპერტის განცხადებით, ე.წ **მთიანი ყარაბაღის არმიამ 2 კვირის განმავლობაში თავისი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის 80 % დაკარგა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ ხნის განმავლობაში მთიანი ყარაბაღის ახლო, საშუალო და შორსმოქმედი საზენიტო სისტემების 80 % იქნა განადგურებული, მათ შორის განადგურდა რუსული ს-300-ის რადიოლოკაციური სადგური და გამშვები კომპლექსიც.**

ექსპერტების თქმით, აზერბაიჯანმა პირველ დღეებში დაკარგა ათობით უპილოტო საფრენი აპარატი, თუმცა დღეის მდგომარეობით აზერბაიჯანის არმიის უპილოტო საფრენი აპარატები დაუსჯელად დაფრინავენ მოწინააღმდეგის სრულ ტერიტორიაზე, რადგან სომხურ მხარეს უკვე აღარ დარჩათ შეიარაღებაში საშუალებები, რომლითაც შეძლებენ მტრის ავიაციასთან გამკლავებას.

## ოდესმე სომხეთი პასუხს აგებს

**თურქეთის** თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აქარმა განაცხადა, რომ სომხეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევა სიახლე არ არის.

**„სომხეთის ხელმძღვანელობა პატივს არ სცემს საერთაშორისო სამართალსა და ადამიანურ ღირებულებებს. სამწუხაროდ, ისინი განჯას ულმობლად დაესხნენ თავს. ეს კი ზავის დარღვევას ნიშნავს. ოდესმე სომხეთი საერთაშორისო სამართლისა და ისტორიის წინაშე პასუხს აგებს“,** — დასძინა თურქეთის თავდაცვის მინისტრმა.

# არც ერთი დირექტორი არ გაგვითავისუფლებია სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით...

**ოპოზიციის** მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით განათლების სამინისტროში აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური ნიშნით ვინმეს გათავისუფლებას გამორიცხავენ. **„საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლებში სამეურვეო საბჭოების მიერ არჩეულ დირექტორებს 2020 წლის სექტემბრიდან ეტაპობრივად ეწურებათ შრომითი ხელშეკრულების ექვსწლიანი ვადა. აღნიშნული ინფორმაცია საჯარო სკოლის ყველა დირექტორისთვის კარგად არის ცნობილი, რადგან დირექტორი არჩეულია ექვსი წლის ვადით.**



**სამინისტროს მხრიდან არ მომხდარა არც ერთი დირექტორის გათავისუფლება. ყველა მათგანს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საჯარო სკოლების დირექტორთა შესარჩევ კონკურსში.**

**შესაბამისად, სამინისტრო გამორიცხავს პოლიტიკური ნიშნით ვინმეს გათავისუფლებას“,** — აცხადებენ განათლების სამინისტროში. ვადის ამოწურვის მიზეზით, ქსნის საჯარო სკოლაში დირექტორი დოდო ჭოტორლიშვილი გაათავისუფლეს სამსახურიდან. დოდო ჭოტორლიშვილის შვილი ბექა ლელუაშვილი დედის გათავისუფლების მიზეზად „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მის კავშირს ასახელებს. როგორც ბექა ლელუაშვილი ამბობს, აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად, დოდო ჭოტორლიშვილის საავადმყოფოში გადაყვანა გახდა საჭირო. როგორც ბექა ლელუაშვილი აცხადებს, დოდო ჭოტორლიშვილს ინფარქტის ნიშნები გამოუვლინდა. საავადმყოფოსთან იმყოფებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ხატია დეკანოიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორის დაშინების შემთხვევა „ქართული ოცნების“ არჩევნებზე მარცხს მიანიშნებს.

„ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს თუნდა ხვადია“
შოთა რუსთაველი.

# მანდილოსანი, რომელიც თავისი დროის უტყუარ ბიოგრაფიას წერს

**ამ ჩემს არცთუ მცირე მადლიერების წერილში უნდა მოგითხროთ საქართველოს ვიცე-პრემიერის, ერთ-ერთი, გამწევი სამინისტროს ხელმძღვანელის, ჭეშმარიტად მამულიშვილ, დარბაისელ მანდილოსანზე მაია ცქიტიშვილზე, რომელიც სხვა მეოცნებეებთან თავის თავგადადებული რუდუნებით ჩვენი ურთულესი დროის ბიოგრაფიას წერს. დიახ, დროსაც თავისი ბიოგრაფია აქვს. მთავარია, როგორ ფურცელს ჩაწერ ამ ბიოგრაფიაში. ქვემოთ სწორედ ამაზე მექნება ლაპარაკი...**

სულ რამდენიმე დღე რჩება საპარლამენტო არჩევნებამდე და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დასრულდება. ამ რწმენას ის გარემოება მიძლიერებს, რომ ეს პოლიტიკური ძალა უდიდეს როლს ასრულებს საქართველოს გაძლიერებისა და განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების, მომავალი თაობის მამულიშვილური სულისკვეთებით აღზრდისა და ქვეყნის მიწა-წყლის მთლიანობის აღდგენის საშვილიშვილო საქმეში.

იმის მიუხედავად, რომ მავანთა, უმთავრესად არაკონსტრუქციულ ოპოზიციურ ძალთა მეცადინეობით, საზოგადოებაში დაძაბულობა თანდათანობით მატულობს, რასაც, სამწუხაროდ, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის საშემოდგომო გამძაფრებაც ემატება, ხელისუფლებას (პირველ ყოვლისა, მხედველობაში მყავს მთავრობა) საქართველო სიკეთის გზით მიჰყავს, ქვეყანა მტკიცედ ადგას დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობის გზას, ხალხს უკეთესი ხვალინდელი დღის მტკიცე იმედი აქვს.

**ვფიქრობ, სავსებით თვალნათელია, რომ „ქართული ოცნების“ წარმატებათა საერთო ყულაბაში უდიდესია ამა თუ იმ მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე მოღვაწე ქალბატონთა წვლილი: ყოველივე თითქოს მკაფიო ილუსტრაციაა შოთა რუსთაველის უკვდავი აფორიზმისა — „ლეკვი ლომისა სწორია...“ ზოგადად თუ ვიტყვი, საზოგადოებრივი და სამეურნეო მოღვაწეობა ნებისმიერი ქალბატონისგან გარკვეულწილად მეტ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან ყველა სხვა საქმეზე პასუხისმგებლობის გარდა, მას დედის, კერიის სითბოს შემნახავის, მეუღლისა და დიასახლისის ურთულესი მოვალეობაც აკისრია. ამდენად, კიდევ უფრო მეტი მადლიერება და პატივგება გვმართებს იმ ქალბატონებისა, ვინც სადღეისოდ არსებულ რთულ ეკონომიკურ-სოციალურ ვითარებაში ძალღონეს, ცოდნას, გამოცდილებას, ძალისხმევას არ იშურებს ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

ბუნებრივია, რომ კოვიდ 19-ის „შემოსევით“ დაწესებული შეზღუდვების გამო შექმნილი ვითარება უკლებლივ ყველა ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება, რასაც, ცხადია, ვერც საქართველო გადაურჩა. ამდენად, იმაზე, თუ რამდენად აწყობილად მუშაობს ამ რთულ პირობებში აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი — რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დიდადაა დამოკიდებული როგორც ზოგადად ეკონომიკის მდგომარეობა, ისე, შესაბამისად, მოსახლეობის ფინანსური კეთილდღეობა.

ამასთან, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის მეტად საყურადღებო გარემოება, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმატებულ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მის სისტემაში დასაქმებულთათვის, არამედ ერთიანად სახელმწიფოსთვისაც, ვინაიდან მისი აგებული ობიექტები სტრატეგიულადაც განსაკუთრებულია. ყოველივე ამის გაკეთება, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა სათანადოდ მომზადებული ტერიტორიული ერთეულების გარეშე, რომელთაც შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მქონე, მაღალპროფესიული მმართველობა ექნებოდა. სწორედ ასაეთია, ჩემი მტკიცე რწმენით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელსაც ამ რანგის ხელმძღვანელისთვის საჭირო ყველა თვისებებით გამორჩეული, ნიჭიერი ქალბატონი, ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწე მაია ცქიტიშვილი უძღვება.

**ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ქალბატონი მაია ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც, ყველა პროფესიულ თვისებასთან ერთად, არაჩვეულებრივი ალღოთიც გამოირჩევა, სამინისტროში თანამოაზრეთა მძლავრი გუნდის შექმნა გაადვილდა. არადა, ხომ სავსებით ცხადია, რომ ასეთი გუნდის გარეშე, რაგინდ ძლიერ ხელმძღვანელს, საქმის წარმატებით გაძღოლა უკიდურესად გაუჭირდებოდა. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუკი თვალს გადავავლებთ სამინისტროს სტრუქტურას: კერძოდ, მის შემადგენლობაში შედის საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რეგიონალური განვითარებისა და სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ფონდები, გაერთიანებული წყალმომარაგებისა და მყარი ნარჩენების მართვის კომპანიები.**

ბოლო წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუშაობის შესახებ გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად ცოტაოდენ სტატისტიკას მოვიშველიებ: 2012-20 წლებში საქართველოში 198 კილომეტრი ჩქაროსნული მაგისტრალი აშენდა; კიდევ უფრო მეტად გაიზარდა გზების აღდგენის ტემპი — განხორციელდა 3300 კილომეტრზე მეტი საავტომობილო გზის აღდგენა, აშენდა და კაპიტალურად შეკეთდა 500-ზე მეტი ხიდი; ათჯერ გაიზარდა ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, რომლის გაუმჯობესებაზე გაიცა მილიარდ 457 მილიონი ლარი. 48 მუნიციპალიტეტში განხორციელდა 759-ზე მეტი პროექტი, რის შედეგადაც უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილ მოქალაქეთა რიცხვი გაორმაგდა, ხოლო ქალაქების ქუთაისის, ზუგდიდისა და ჭიათურის მოსახლეობას პირველად აქვთ უწყვეტი წყალმომარაგება.

**ასევე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს წყალარინების გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის მიმართულებით, რომლის მიზანი გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებაა; მოყოლებული 2013 წლიდან, ანუ პარტია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის დღიდან, მყარი ნარჩენების მართვის სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ ეტაპობრივად მართვაში გადაეცა 54 მუნიციპალური ნაგავსაყრელი, რომელთა უმეტესობა არ შეესაბამებოდა მიღებულ სტანდარტებსა და ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს. ამ ხნის განმავლობაში კეთილმოეწყო და აღდგა 31 არსებული და დაიხურა 23 ძველი, ამორტიზებული ნაგავსაყრელი. ამავე დროს სხვადასხვა მხარეში მოეწყო ნარჩენების გადამტვირთავი 5 სადგური.**

აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგია უწყების მუშაობის სრულიად უნიკალური მრავალპროფილიანობა — ურბანული თუ მთიანი კუთხეების განვითარება, საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრისების მშენებლობა ქუთაისში, მცხეთაში, ზუგდიდში, წყალტუბოში, ფოლკლორის ცენტრის ზუგდიდში, აღდგენის სამუშაოები ჩაუტარდა დადიანების ბაღსაც.

**მოკლედ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მთელი გუნდის გარჯისა და მიღწეული წარმატებების შესახებ საუბარი დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, რომ, ნათქვამიც საკმარისია, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფო უწყების ასეთი თვალსაჩინო შედეგის მიღწევა ნამდვილად შეუძლებელი იქნებოდა უნარიანი, დაუღალავი და გულმოდგინე ხელმძღვანელობის გარეშე, რასაც ასე სანაქებოდ წარმოაჩენს უკეთილშობილესი ქალბატონი მაია ცქიტიშვილი.**

**დიმიტრი კოტეტიშვილი,**
**ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი.**
**ტ.: 599-28-02-01.**

## ავი თვალით არ ინახვის!..

# გიორგი გახარიამ არაერთხელ გამოიყვანა ქვეყანა კრიზისიდან!

**წარმოდგენილი** **პრემიერ-მინისტრობის კანდიდატებიდან ყველაზე ღირსეული გიორგი გახარიაა,** — ამის შესახებ „2020NEWS"-თან საუბრისას პოლიტიკურ საკითხებში ექსპერტმა **რამაზ საყვარელიძემ** განაცხადა.

მისივე თქმით, ვერც ერთ კანდიდატს, თავისი პარტიის გარეშე, პრემიერობის შანსი ვერ ექნება, რადგან ცალკეული პოლიტიკოსის ძალაუფლებამდე მისასვლელი ლოკომოტივი პარტიაა.

**„პრემიერ-მინისტრობის კანდიდატების შანსი დამოკიდებულია მათ პარტიაზე, მათ რეიტინგზე. თუ კი პარტიას არ აქვს არჩევნებში გამარჯვების შანსი, შესაბამისად, ეს შანსი მის წარდგენილ კანდიდატსაც ვერ ექნება.**

**მაგალითად, მატარებლით მივდივარ რომელიმე ქალაქში, თუმცა ეს მატარებელი ან შუა გზაზე გაჩერდა, ან ვერ მოახერხა ქალაქში ჩასვლა, როგორ ფიქრობთ, მოხვდება ის ქალაქში?! რა თქმა უნდა, ვერა...**

**სწორედ ამიტომაც არ ექნებათ კონკრეტულ პოლიტიკოსებს პარტიის გარეშე გამარჯვების შანსი.**

**პოლიტიკოსის ძალაუფლებამდე მისასვლელი მატარებელი მისი პარტიაა",** — ამბობს საყვარელიძე სააგენტოსთან საუბრისას.

ექსპერტის თქმითვე, გაუგებარია, „ნაციონალური მოძრაობის" პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად მიხეილ სააკაშვილის წარდგენა, რადგან პრემიერ-მინისტრი პარტიის სიის პირველი ნომერი და საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს.

„ნაციონალური მოძრაობის" პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის წარდგენა ჩემთვის ცოტა გაუგებარია, რადგან **პრემიერ-მინისტრი პარტიის სიის პირველი ნომერი უნდა იყოს,** მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის" პირველი ნომერი არის **ბუბა კიკაბიძე**. რაც შეეხება ექსპრეზიდენტ **სააკაშვილს,** ის საერთოდ არ არის „ნაცმოძრაობის" სიაში და როგორ უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი? ამასთან ერთად, ის საქართველოს მოქალაქეც კი არ არის.

თუ ნაცები მოვლენ და შიდა შესწორებებს შეიტანენ კანონმდებლობაში, მაშინ გაეხსნება გზა სააკაშვილს, მაგრამ ჯერ გაიმარჯვონ, მათ გამარჯვებას იმდენი ბარიერი აქვს წინ. მთავარი ბარიერი მათი გამარჯვების კი თავად სააკაშვილია"...

მისივე თქმით, წარმოდგენილი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატებიდან ყველაზე ღირსეული მოქმედი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარიაა, რომელმაც არაერთხელ გამოიყვანა ქვეყანა კრიზისული ვითარებიდან.

მან იცის, როგორ გამოიყენოს სწორად მენეჯმენტი, ამიტომაც ვთვლი, რომ **წარდგენილი კანდიდატებიდან** ყველაზე ღირსეული ის არის თავისი საქმიანობითა და მოღვაწეობით.

„ლელო საქართველოსთვის" პრემიერ-მინისტრობის კანდიდატზეც არ ვარ უარყოფითად განწყობილი, რადგან მამუკა ხაზარაძეც საქმიანი შედეგებით არის ცნობილი, თუმცა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაში გამოცდილი გიორგი გახარიაა", — ამბობს პოლიტოლოგი.

**ხატია მამულია**

# გაისიდან ვალის სიმძიმე ქვეყანას თანდათან ნელში გაწყვეტს

**საგარეო ვალი იქნება ის დიდი დარტყმა, რასაც მომავალ წლებში ბიუჯეტმა, ლარის კურსმა, მოსახლეობამ და მთელმა ქვეყანამ უნდა გაუძლოს. ამ მხრივ ვითარება წითელ ხაზს უახლოვდება და თავისუფლად შეიძლება დადგეს მომენტი, როდესაც ვალი ყველაფერს „შეჭამს" და გაანადგურებს.**

საგარეო ვალის დინამიკა წლიდან წლამდე მზარდია, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია წლევანდელი წელი, რამდენადაც 2020 წლის ბოლომდე საგარეო ვალი 6.1 მილიარდ ლარამდე იზრდება.

რაც შეეხება წინა წლების დინამიკას, საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი 2003 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **3.2 მილიარდ ლარს (1.5 მლრდ აშშ დოლარი)** შეადგენდა. სწორედ ვალის ამ მაჩვენებლით გადაიბარა ხელისუფლება ერთიანმა „ნაციონალურმა მოძრაობამ".

რაც შეეხება 2003 წლიდან 2012 წლამდე პერიოდს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ოფიციალური მონაცემებით, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი **6.6 მლრდ ლარით (3.9 მლრდ აშშ დოლარი)** განისაზღვრა, რაც ნიშნავს, რომ „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლის განმავლობაში მთავრობის საგარეო ვალი გაორმაგდა.

2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კი, 2012 წელთან შედარებით, შესაბამისი თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის გათვალისწინებით, მთავრობის საგარეო ვალი გასამმაგებულია და **19.9 მლრდ ლარს (6.5 მლრდ აშშ დოლარს)** შეადგენს.

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი საქართველოს მთავრობამ პარლამენტს არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა უნდა წარუდგინოს. ყველაზე დიდ გამოწვევას პანდემიის გამო შექმნილი კრიზისისთვის გასამკლავებლად აღებული ვალების მომსახურება წარმოადგენს, თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2021 წელს საქართველოს მთავრობას 500 მლნ ევრობონდის დაფარვაც უწევს.

„galt end Tagartis"-ში მიაჩნიათ, რომ გაისად და, ზოგადად, მომავალ წლებში ვალების მომსახურება ყველაზე დიდი გამოწვევა იქნება.

**„2021 წელს საქართველოს 500-მილიონიანი ევრობონდების გადახდის ვალდებულება აქვს და საინტერესოა, რას იზამს მთავრობა — გადავიხდით ვალს თუ რეფინანსირებას მოვახდენთ? მოგეხსენებათ, პანდემიის გამო ქვეყანამ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ძალიან დიდი ვალი აიღო და მომავალ წლებში სწორედ მათი მომსახურება იქნება მნიშვნელოვანი",** — განაცხადა „galt end Tagartis"-ის კვლევების დეპარტამენტის უფროსმა **ევა ბოჭორიშვილმა** და დასძინა, რომ მართალია, ტურიზმის აღდგენის მოლოდინი დიდია, თუმცა თუკი პროცესები სათანადოდ არ წარიმართა, ვალის შემცირების ტემპი, შესაძლოა, არ იყოს ისეთი, რა მოლოდინიც არსებობს.

„galt end Tagartis"-ის კვლევების დეპარტამენტის უფროსის ვარაუდით, მთავრობას 2021 წლის პირველ ნახევარშიც მოუწევს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების გაგრძელება, განსაკუთრებით ტურიზმის ინდუსტრიაში, რადგან, ჯერჯერობით, სექტორი ვერ მუშაობს და ამისთვის დონორებისგან წლეულს მიღებულ ფინანსურ რესურსებს გამოიყენებენ.

ევა ბოჭორიშვილის შეფასებით, სახელმწიფომ ბევრი მექანიზმი აამოქმედა, რათა ადგილობრივ ეკონომიკას დახმარებოდა, მათ შორის საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი და იქვე დასძინა, რომ „შეზღუდული რესურსის პირობებში სახელმწიფო იმას უნდა დეხმაროს ვისაც, ყველაზე მეტად უჭირს".

**„ვხედავთ, რომ ექსპორტის კლების ტემპი შენელდა, ამასთან სოფლის მეურნეობის და საკვებ პროდუქტებზე მსოფლიოში მოთხოვნა შენარჩუნებულია. შესაბამისად, ისეთ დარგებს, სადაც მეტ-ნაკლებად, მოთხოვნა არის, დამატებითი სტიმულირება არ სჭირდება. მხარდაჭერა და საგადასახადო შეღავათები ესაჭიროება მას, ვინც ყველაზე მეტად დაზარალდა და ეს იყო ტურიზმი და ტურიზმთან დაკავშირებული დარგები",** — უთხრა „ბიზნეს მედიას" ბოჭორიშვილმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო 8 წლის განმავლობაში მთავრობის საგარეო ვალი 3-ჯერ, დაახლოებით 13.3 მილიარდი ლარით გაიზარდა და ახლა ყველაზე საპასუხისმგებლო ზღვრამდე მივიდა ქვეყანა.

**ბექა დანელია**

# ტურიზმის აღდგენას წლები დასჭირდება...

**ტურიზმი ჭაობში საბოლოოდ ჩაეფლო. მდგომარეობა ურთულესია როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში. დამაიმედებელი პროგნოზი არსად კეთდება, შესაბამისად, პერსპექტივა გაურკვეველია.**

მდგომარეობა იმდენად არასახარბიელოა, რომ ტურიზმის სექტორის სრულად აღდგენას საქართველოს მთავრობა მხოლოდ 2025 წლისთვის ვარაუდობს: **„ტურიზმის სრული აღდგენა მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება. 2022 წლისთვის მოსალოდნელია 2019 წლის მაჩვენებლის 80 პროცენტით აღდგენა. 100-პროცენტიან ნიშნულზე დაბრუნება მხოლოდ 2025 წლისთვისაა ნავარაუდევი. საბაზისო სცენარი უშვებს, რომ „ტურისტული ბუმის" შეჩერება ამ სექტორის წილს გლობალურ ეკონომიკაში შეამცირებს",** — ჩაწერილია მთავრობის მიერ წარდგენილ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში. ტურიზმის სექტორს საქართველოს ეკონომიკის 12% უჭირავს, ამიტომაც მასზე საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. მოგზაურობის შეზღუდვამ ვიზიტორთა ნაკადი შეაჩერა, რამაც უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკაზე და ტურიზმის სექტორში დასაქმებული ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი შემოსავლის გარეშე დარჩა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" უფროსი ანალიტიკოსი **ბესო ნამჩავაძე** აცხადებს, რომ ჩაკეტილი ტურიზმი საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს.

**„ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 2020 წლის ბოლომდე ალბათ, ჯამში, 1,5 მლრდ დოლარით შემცირდება. მთავარი დარტყმა, რაც მიიღო ჩვენმა ეკონომიკამ — ეს იყო ტურიზმი. სხვა სექტორები აღდგა, ტურიზმი კი დღესაც ჩაკეტილია. მიუხედავად იმისა, რომ დახმარებები მიიღეს ადამიანებმა, მოსახლეობის შემოსავლები მნიშვნელოვნად შემცირდა. თუკი ადამიანს გაუჭირდა, უფრო ნაკლებს მოიხმარს და დანაზოგს გამოიყენებს, თუკი ბანკში დანაზოგი იკლებს, ბანკსაც ნაკლები ფული აქვს გასასესხებელი. ასევე, სამომხმარებლო ხარჯების შემცირებასთან ერთად მცირდება გაყიდვებიც, რაც, საერთო ჯამში, ეკონომიკაზე ცუდად აისახება, ეს გადაჯაჭვული პროცესია. იმის მიზეზი, რომ დღეს 3,20-ია ლარის კურსი, არის ზუსტად ტურიზმიდან დაკარგული შემოსავალი",** — განაცხადა ბესო ნამჩავაძემ.

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი სექტორი, ფაქტობრივად, ჭაობშია და ახლა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის იმედად დარჩა. ასეთ მდგომარეობაშია მთელი მსოფლიო და ყველა ქვეყნის ტურისტული ინდუსტრია. გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, 2020 წლის პირველ ნახევარში გლობალურად საერთაშორისო ტურიზმი 65%-ით შემცირდა.

**„უკანასკნელი კვირების განმავლობაში მსოფლიოს ტურისტული დანიშნულების ქვეყნების 53%-ში მოგზაურობაზე დაწესებული შეზღუდვები ეტაპობრივად მსუბუქდება, თუმცა არაერთი ქვეყნის მთავრობა კვლავ ინარჩუნებს სიფრთხილეს და სამოგზაურო შეზღუდვებს არ ამსუბუქებს",** — ნათქვამია დოკუმენტში.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური მდივნის **ზურაბ პოლოლიკაშვილის** განცხადებით, მთავრობებსა და კერძო სექტორს შორის უსაფრთხო ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, კოორდინაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

**2019 წელთან შედარებით საერთაშორისო ტურიზმის მოცულობა 2020 წლის პირველ ნახევარში 440 მილიონი ვიზიტორით შემცირდა, რამაც გლობალურად ამ სფეროს შემოსავლის 460 მილიარდი დოლარით კლება გამოიწვია. ეს, დაახლოებით, ხუთჯერ უფრო მეტია, ვიდრე ის დარტყმა, რაც გლობალური ტურიზმის ინდუსტრიამ 2009 წლის ფინანსური კრიზისის დროს მიიღო.**

ევროპაში ვიზიტების რაოდენობა 66%-ით შემცირდა. ამერიკის კონტინენტზე კლება 55%-ია, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში — 57%, ხოლო აზიასა და ოკეანეთში ტურიზმის შემცირებამ 2020 წლის პირველ ნახევარში 72% შეადგინა.

**დანიელ ბექაური**

# ზარი წუხილისა და განგაშისა!

## შემდეგ გვიან არ იყოს!

**ხანდაზმულთა მიმართვა ხელისუფლებას, ქართველ საზოგადოებას**

**როგორც ცნობილია, გაეროს დადგენილებით, პირველ ოქტომბერს მსოფლიო აღნიშნავს ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეს. ამ გადაწყვეტილებას შეუერთდა საქართველოც.**

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობამ რამდენჯერმე მიმართა პარლამენტსა და მთავრობას თხოვნით, რომ ეს თარიღი ჩვენს ქვეყანაში აღნიშნულიყო რაიმე აქციებით, რომლებშიც გამოჩნდებოდა ზრუნვა ხანდაზმულებსა და პენსიონერებზე; კავშირის გამგეობამ, აგრეთვე გამოიჩინა ინიციატივა და გასულ წლებში თავისი სახელით გამოაქვეყნა ამ თარიღისადმი მიძღვნილი მილოცვები და ამით შეეცადა, გაემხნევებინა უფროსი თაობა.

მაგრამ მათი მხრიდან გამოხმაურება არ ყოფილა!

წინამდებარე მიმართვა ჩვენ, რიგითმა ხანდაზმულებმა და პენსიონერებმა ვითავეთ და წარვადგინეთ გაზეთში გამოქვეყნების თხოვნით.

ის რომ, ჩვენი ხალხის უფროსი თაობა ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მესამედს შეადგენს, ის რომ, ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალური მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი არის ზრუნვა ხანდაზმულებზე, ის რომ, ჩვენი ქვეყნის სახელისუფლებო თუ სამთავრობო გადაწყვეტილებები (მაგალითად, საერთო პენსიის მომატების შესახებ) პენსიონერთა მიმართ ყურადღების გამოჩენაა, თვალნათლივ ჩანს და მისასალმებელია.

**ყველაფერი ეს გასაგებია...**

**მაგრამ ის, რომ ხანდაზმულებსა და პენსიონერებს მთელს მსოფლიოში მეტად აქტიურად (და ნაყოფიერად!) აქცევენ დამსახურებულ ყურადღებას, ეხმიანებიან, უწევენ ქველმოქმედებას, ვიდრე ჩვენთან — ესეც ნათელია.**

წლების მანძილზე დახმარების თხოვნით მივმართავდით ჩვენს ბიზნესწრეებს: ათეულობით წერილებს ვწერდით, მაგრამ შედეგი ბოლო წლებში თითქმის ნულოვანია, იმასაც გაცნობებთ, რომ ვცდილობთ, ვითანამშრომლოთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და განვავითაროთ მათთან კონტაქტები, ვართ მათი მდლიერები.

საოცრებაა, მაგრამ ფაქტია, რომ პენსიონერთა კავშირის რეგიონული ორგანიზაციების წინადადებათა გათვალისწინებით, მთავრობაში იქნა წარდგენილი ზოგიერთი მნიშვნელოვანი და პერსპექტიული მოსაზრებანი, რომელზედაც პასუხი კავშირის ხელმძღვანელობამ, სამწუხაროდ, ვერ მიიღო! — ე. ი. დარჩა მთავრობის რეაგირების გარეშე?!

ჩვენ კარგად გვესმის, რომ მთავრობა (თუ ზოგიერთი მკითხველიც) ამ წერილის ავტორობას (ინიციატივას) სხვის დავალებად ჩაგვითვლის და იფიქრებს, რომ ამით ჩვენ გამოგვიყენეს. არა, ეს ასე არ არის! ეს ჩვენი რამდენიმე წლის ტკივილია, წყროლია, გაუგებრობაში ყოფნის შედეგია.

ამ წერილით გვსურს, შემოვკრათ ზარი წუხილისა, განგაშისა — ხანდაზმულებს და პენსიონერებს მეტი ყურადღება ობიექტურად სჭირდებათ და ხელისუფლებისა და მთავრობის საყურადღებოდ ვამბობთ: **შემდეგ გვიან არ იყოს — ხანდაზმულთა და პენსიონერთა მასა სხვა ძალებმა არ გამოიყენოს ისედაც რთულ ეტაპზე!**

ჩვენო ხანდაზმულებო, ჩვენო პენსიონერებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეს — პირველ ოქტომბერს, რომელიც კიდევ ერთხელ გამოტოვა(?) ჩვენმა ხელისუფლებამ!

საპარლამენტო არჩევნებში გისურვებთ ისეთი წარმომადგენლების არჩევას, რომლებსაც ხანდაზმულთა და პენსიონერთა პრობლემები თავის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიაჩნიათ, უფროს თაობას განსაკუთრებული ყურადღებით მოექცევიან და მათი პრობლემების უკეთესად გადაწყვეტის უნარს გამოიჩენენ!

**საქართველოს პენსიონერთა კავშირის წევრი-აქტივისტები:**

**თამარ მიროტაძე, ნათელა სილაძაძე, ლეილა ახვერდაშვილი, დალი კანდელაკიშვილი, მარიამ ჩხუტაშვილი, ნუნუ მამუკაშვილი, ზაირა მამასახლისი.**

# მშვიდობის ფასი განუზომელია!

**ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საინვესტიციო პროექტი ყულევში, შესაძლოა, ყარაბაღის კონფლიქტმა შეაყოვნოს!**

**შპს „ფაზის ოილი“ და საკონსულტაციო კომპანია Deloitte & Touche ყულევის მაღალტექნოლოგიური ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის პროექტს, რომლის ინვესტიციის მოცულობა მილიარდ დოლარს აღემატება, რამდენიმე თვეა ახორციელებენ. თუმცა, პანდემიის და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო, საქართველოში პირველი ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობაში ინვესტირებისგან უცხოური კომპანიები თავს იკავებენ.**

**„ფაზის ოილის“ აღმასრულებელმა დირექტორმა გია შავდიამ** „კომერსანტთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ რეგიონში მიმდინარე კონფლიქტი ინვესტიციების მოზიდვის კუთხით შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდა, თუმცა იმედოვნებს რომ 2021 წლისთვის, როცა უშუალოდ მშენებლობის პროცესი დაიწყება, ვითარება დამშვიდდება.

**„რეგიონში მიმდინარე მოვლენები ინვესტორების კუთხით უკვე შეგვეხო, ყველა მათგანმა გვითხრა, რომ სანამ ჩვენს რეგიონში სიწყნარე არ იქნება, თავს იკავებენ ინვესტირებისგან, საუბარია ინგლისელებზე, შვეიცარიელებსა და ამერიკელებზე. მათ დიდი შეშფოთება გამოთქვეს მთიანი ყარაბაღის ამბებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაჟღერდა, რომ ამ კონფლიქტში ჩათრეული საქართველოც შესაძლოა, იყოს. პანდემია და რეგიონში არსებული სიტუაცია რომ არ ყოფილიყო, ჩვენ უკვე ინვესტორებთან უნდა გვქონოდა გაფორმებული ხელშეკრულებები. თუმცა, ინვესტიციების მოზიდვა მშენებლობის დაწყების დროს უფრო მნიშვნელოვანია, შესაბამისად ვიმედოვნებთ, რომ მომავალი წლისთვის ეს ყველაფერი დალაგდება“,** — განაცხადა გია შავდიამ. მან იმ პრობლემებზეც ისაუბრა, რამაც პანდემიის გამო პროექტის დაწესებულ ვადებში განხორციელებას შესაძლოა, ხელი შეუშალოს.

**„პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს, თუმცა მშენებლობის მომზადების კუთხით არ გვაქვს წინსვლა, რადგან ყველაფერი გაჩერებულია, მათ შორის ჩვენს პარტნიორებთან. მაგალითად, შვეიცარიაც კი დაგვიკეტეს, სადაც ჩვენი მთავარი კომპანიაა, ვერც მივდივართ, შესაბამისად შენელებულ ტემპში ვმუშაობთ, თუმცა ლიცენზიატებთან, პროექტირებასთან დაკავშირებით და ინვესტორებთან მიმართებაში შეძლებისდაგვარად ისევ მიმდინარეობს მუშაობა. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ გავდივართ ეკოლოგიის საკითხებს. დაანონსებული თარიღი, რომელიც 2021 წელს ქარხნის მშენებლობის დაწყებას და რამდენიმე წელიწადში დასრულებას გულისხმობს, შესაძლოა, გადაიწიოს, მაგრამ ამ ეტაპზე ვაკვირდებით მოვლენებს და ჯერ ეს თარიღები არ შეცვლილა. მართალია, ვცდილობთ სახლიდან მაქსიმალურად ვიმუშაოთ იმისთვის, რომ ეს გრაფიკი არ შეიცვალოს, მაგრამ დაპროექტება ისეთი რთული პროცესია, რომ დისტანციურ რეჟიმში ყველაფრის გაკეთება შეუძლებელია“,** — განმარტა გია შავდამ.

მისი თქმით, საქართველოში პირველი ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის აშენების შემდეგ საწავავი 15-20%-ით გაიაფდება. გარდა ამისა, ქარხნის აშენების შემდეგ, საწარმოო პროცესში ნედლი ნავთობის თითქმის სრულად, დაახლოებით 98%-ით გადამუშავება მოხდება. ყაზახური ნავთობი არის საბაზისო, მაგრამ ასევე განიხილება სარეზერვო ნავთობი, რომელიც არის ლიბიის და საუდის არაბეთის. აღსანიშნავია, რომ ქარხნის მშენებლობა 2021 წელს უნდა დაიწყოს. პირველ ეტაპზე პროექტს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სტატუსი ექნება. ინვესტიციის მოცულობა დღევანდელი მდგომარეობით 41.1 მილიარდია, რომელიც მშენებლობის 4 წლის განმავლობაში იქნება ათვისებული. ხუთი წლის შემდეგ, როდესაც ქარხანა სრული სიმძლავრით ამოქმედდება, საგადასახადო შეღავათები მოიხსნება და წინასწარი გათვლებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველწლიურად დაახლოებით 50-60 მილიონ აშშ დოლარს მიიღებს.

**ნინო თამაზაშვილი**

# 44 მილიონის ინვესტიცია — ფოთისთვის...

**ძალაძ ფოთში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი გიგა მანდარია მშენებლობის პროცესს ადგილზე გაეცნო და არსებული ვითარება შეაფასა,** — ამის შესახებ ინფორმაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, წყალარინების გამწმენდი ნაგებობა, ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, სრულად განახორციელებს ჩამდინარე წყლების წმენდას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს შავი ზღვის აუზისა და ეკოლოგიის დაბინძურების რისკებს რეგიონში. წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის თქმით, ფოთის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა მოცულობითა და მასშტაბებით ერთ-ერთი მსხვილი პროექტია საქართველოში.

# ლანჩხუთში მთისძირა არხის რეაბილიტაცია დასრულდა

**შპს „საქართველოს მელიორაციამ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მთისძირა არხის რეაბილიტაცია დაასრულა. პროექტის ფარგლებში ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან დამშრობი არხის ჯამში 17-კილომეტრიანი მონაკვეთი გაიწმინდა.**

აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა არხზე მოწყობილ სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს. ჩატარებული ღონისძიებების შედეგად არხის გამტარუნარიანობა გაიზარდა, რაც 6900 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობიდან ჭარბი წყლის მოცილებას უზრუნველყოფს.

# რაჭაში 1 000 ტონაზე მეტი ყურძენია გადამუშავებული

**ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 13 ოქტომბრის მონაცემებით, რაჭაში უკვე 1 000 ტონაზე მეტი ალექსანდროული და მუჯურეთულია გადამუშავებული. სააგენტოს ცნობით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა ლოკაციაზე ყურძნის ჩასაბარებელი 20 პუნქტია გახსნილი, რაც მოსახლეობას მოსავლის შეუფერხებელი დაბინავების შესაძლებლობას აძლევს.**

რაც შეეხება კახეთს, რეგიონში რთველი დასკვნით ეტაპზეა — გადამუშავებულია 269 ათას ტონამდე სხვადასხვა ჯიშის ყურძენი.

**ხელოვნების** მუშაკთა სახლში ერთი ლექსის საღამო გაიმართა. გოგლამ „ყივჩაღის პაემანი“ წაიკითხა. ბოლოს მუხრანის თაობის პოეტები გამოვიდნენ. ჯერ გივი ძნელაძე, მერე სილოვან ნარიმანიძე. ნარიმანიძის ლექსი ლათინურამერიკელ რევოლუციონერს ერნესტო ჩე გევარას ეძღვნებოდა და ყოველი სტროფი **ჩე**-თი მთავრდებოდა. ჩე, გმირის უკანსაყივარი, ანუ ნართაული სახელი სამჯერ მეორდებოდა – **ჩე,ჩე,ჩე**... გოგლამ ვეღარ მოითმინა და დარბაზიდან გასძახა, **სილოვან, შენა, კაცო, ქართულ ლექსსა კითხულობ თუ სომხურსაო**. სილოვანი დაიმნა, მაგრამ მაინც მოახერხა თავის დაცვა: ხალხი, გიორგი ბატონო, ამ მეტსახელით ეფერება თავის გმირსაო. აი, როგორც ჩვენ სიყვარულით გოგლას რომ გეძახითო... ჰო, კარგი, კარგიო, დაამშვიდა გოგლამ.

**გაქანებული ომი იყო.** სტალინს ჭიაურელისთვის დაევალებინა, კარგი იქნება, თუ გიორგი სააკაძეზე ფილმს გადავიღებთო, ჩვენს ჯარისკაცებს უთუოდ გაამხნევებს და მტერს მეტი შემართებით შეებმიანო... სცენარის დაწერა ცნობილი რუსი მწერლებისთვის დედა-შვილ ანა ანტონოვსკაიასა და ბორის ჩორნისთვის უთხოვიათ. თუმცა არც გიორგი ლეონიძე დავიწყნიათ. ანა ანტონოვსკაიას ბორის ჩორნისთან ერთად უკვე დაწერილი ჰქონდა უზარმაზარი, ექვსტომიანი ეპოპეა „დიდი მოურავი“, რომლის მიხედვით გიორგი სააკაძეს ევროპაშიც იცნობდნენ და თვით რიშელიესაც ჰყავს მოხსენიებული. ანა ანტონოვსკაია წარმოშობით ფრანგი იყო, ვენუერი, რომლის პაპაც ნაპოლეონის ლაშქრობის შემდეგ დარჩენილა რუსეთში და თანდათან გარუსებულა. ანტონოვსკაია რუსი ქმრის, გენერალ ანტონოვსკის გვარი იყო... სცენარი დაუწერია გიორგი ლეონიძესაც. გადაღებების დაწყებამდე ორივე სცენარი თვითონ სტალინს წაუკითხავს. წერილიც კი მიუწერია ანასთვის, სადაც წერს, რომ ის ადგილი აუცილებლად შესწორებულიყო, გიორგი სააკაძე სცენარის ბოლოში უიმედოდ ხელჩაქნეული რომ ამბობს, რა ვქნა, ჩემს პაატას იქნებ ასეთი ბედი ეწერა, სამშობლოს ზვარაკი უნდა გამხდარიყოო. **სტალინს თავისი წერილი ასე დაუმთავრებია, გიორგი, რომელსაც შვილის მოკვეთილი თავი ჩაუბღუჯავს, თვალცრემლიანი, კბილების ღრჭიალით ემუქრება შაჰ-აბასს, არ გეგონოს, რომ ფარ-ხმალს დავყრი, ხვალ ვნახავთ, ვინ იქნება გამარჯვებულიო...** იქვე შეფასებულია გიორგი ლეონიძის სცენარიც, უპირატესობა მინიჭებული აქვს რუს ავტორთა სცენარს. მაგრამ გოგლა არ განაწყენებულა, **ბელადმა უკეთესად იცის, რა რას სჯობიაო**. სტალინის ეს წერილი მე ერთხელ უკვე გამოვაქვეყნე „კომუნისტში“ და ამიტომ აქ აღარ მოვიყვანე...

**ძველი დღიურიდან:** გუშინ რედაქციაში იყო მიხეილ ჭიაურელი, სწორედ იმ დროს რედაქციაში იყო გოგლაც. რედაქტორს უცდიდა რაღაცა საქმის გამო. ძალიან გაიხარეს ერთმანეთის ნახვით. დაიწყეს ძველი ამბების გახსენება. ჭიაურელი დიდი ხუმარა ჩანს. ამუამად **„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“** ფილმსა დგამს. ძალიან კმაყოფილია. წუხს, რომ ამ ფილმს ვერ ნახავს სტალინი, რომელსაც ვახტანგ ტაბლიაშვილის **„ქეთო და კოტე“** რახან მოსწონდა, ეს ჩემი ფილმიც უთუოდ მოეწონებოდაო. ძალიან უყვარდა ძველი ქართული ამბების გახსენებაო. **თუ მარტონი ვიყავით** (სულის მოსათქმელად არცთუ იშვიათად მეძახდაო. ეტყობა, მოსწონდა ჩემი ენაკვიმატობაო). **სულ ქართულად ვლაპარაკობდითო. წმინდა ქართლური ქართული იცოდაო.** მე და ლეონიძე ვფიქრობთ სტალინობამდე ჯერ კიდევ ახალგაზრდა სოსოზე ფილმის შექმნაზეო. ვნახოთ, თუ დაგვცალდაო... გოგლამ სიცილით მოაგონა ვერიკოს (ანჯაფარიძის) მაყრიონის ჩასვლა დიღომში. ცუდი ამინდი დაგვერთოო, ვერიკოს მამის ივლიანეს ამ ნათქვამზე მამაჩემმა ედიშერმა მიუგო, – მართალი ხარ, ძალიან **კროჭული** ამინდიაო, **პარ**-ის ნაცვლად **კან**-ი იხმარაო... დიღმური გაურია, რაც მეგრელი თავადი ანჯაფარიძისთვის მაინცდამაინც ზრდილობიანი ნათქვამი არ იყოო... პირდაპირ თქვი, შე კაცო, რაც უთხრაო, გოგლამ. **კროჭი, საბას მიხედვით, კოლოფია, ხოლო პროჭი იმის გარდა, ტიკის ნახვრეტის გამოსაკრავიაო.** აბა, ედიშერმა მაგდენი რა იცოდაო, ჭიაურელმა, და სიცილი დაიწყეს...

**რაო, რაო, მაი სულერთიაო?** შოთა ჭანუყვაძემ, მეტყოდა ხოლმე გოგლა, და ისევ და ისევ მომაყოლინებდა ერთ ღიმილის მომგვრელ **„შოლოხოვურ ამბავს“**... საქართველოში შოლოხოვის პირველი ჩამოსვლის შემდეგ, როგორც მერე დავით მჭედლიშვილმა მითხრა, ცეკას ჩემი დაწინაურება უნდოდა კულტურის განყოფილებაში. დამიბარეს, მივედი. შოთა ჭანუყვაძის კაბინეტში თვითონ ჭანუყვაძე იყო და ცეკას კიდევ ერთი მდივანი რევაზ ფრუიძე. მაშინ ხალხი ხუმრობდა კიდეც, ყველაფერი შოთა ჭანუყვაძესთან უნდა იყვეს **„შოთანხმებულიო“**.

სწორედ იმ დღეებში (საქართველოდან შოლოხოვის წასვლის მერე) გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა შოლოხოვის ახალი რომანის („ისინი **სამშობლოსთვის იბრძოდნენ**“) კარგა მოზრდილი ნაწყვეტი. ეს გაზეთი წინ ედო ჭანუყვაძეს და შევედი თუ არა, უცებ მომმართა: **რას წერს მაი თქვენი შოლოხოვი „ტიხი ცელინაშიო“**. ვიფიქრე, ალბათ, მცდის-მეთქი და დავულაგე, **ეგ არც „ტიხი დონია“, არც „პოდნიატაია ცელინა“, ეგ ახალი რომანის ნაწყვეტია, რომელ რომანზეც შოლოხოვი ახლა მუშაობს-მეთქი**. ჭანუყვაძე უცებ აენთო. აშკარად იწყინა ჩემგან შენიშვნა და მომაძახა, **მაი სულერთიაო**. ახლა წადით და, თუ საჭირო გახდა, მჭედლიშვილს ვეტყვითო. რედაქციაში რომ მივედი, დავითმა საყვედური მითხრა, რა ლიტერატურათმცოდნეობა დაგიწყიაო... ჭანუყვაძე სამეურნეო მუშაკია, მაგდენი ლიტერატურა რა იცისო?!..

**ძველი ჩანაწერიდან:** რომელიღაც პლენუმის მასალები იბეჭდება ნომერში. შოთა ჭანუყვაძე ცეკას ერთ-ერთი მდივანია, ჯუმბერ პატიაშვილი კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი. დარეკა ჭანუყვაძემ რა თანამიმდევრობით იბეჭდება მასალებიო (იმ ნომერს მე ვაწერდი ხელს) ჯერ პატიაშვილი გამოსულა და იმის გამოსვლა იბეჭდება-მეთქი. არა, ჯერ ჩემი დაიბეჭდოს, მაი ახალგაზრდაა, გაიზრდებაო. მართლაც აკი გაიზარდა კიდეც...

**ძველი ჩანაწერიდან:** უკვე მუხლამდე სისხლით დატბორილ ბრძოლის ველზე გდია მრავალმილიონჯერ მკვდარი მეორე მსოფლიო ომი, რომელიც გრძელი ოთხი წელიწადი გაგრძელდა და რომლის აუცილებელი დაწყებაც ბიძაჩემმა იცოდა, დედაჩემის უფროსმა შეხნიანებულმა ძმამ, გაკულაკებულმა მიხა შატაიძემ (ნუგზარ შატაიძის პაპამ მამის მხრივ. – გ.გ.) სადღაც მთის სოფელ ახალციხეში, ნოსტეს მახლობლად და სტალინმა რა, ვითომ არ იცოდა?! ერთი სიტყვით, ომი ახალი დამთავრებული იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ფულტონში ჩერჩილი ახალი ომის ჟინით გაჯერებულ სიტყვას ამბობს, და მსოფლიოში ცივი ომის გუზგუზი დაიწყო... საბოლოოდ დამთავრდა ის დრო, როცა სამი დიდი სახელმწიფოს თავკაცები პირის საფერისად, ანუ მოსაჩვენებლად, ერთმანეთს ეპირშაქრებოდნენ... ამ აგუზგუზებული ცივი ომის ჟამს, მგონი, საქართველოს მშვიდობის კომიტეტმა რამდენიმე ახალგაზრდა პოეტს ლექსი დაუკვეთა, რომელ ლექსშიც უნდა გაელანძღათ ჩერჩილი, როგორც ცივი ომის გამჩაღებელი! მოიწონეს პოეტ თეიმურაზ ჯანგულაშვილის ლექსი სათაურით **„ქეციან ჩერჩილს“**, თვითონ ლექსში კი თუ რამ სენი და დაავადებაა ქვეყნად, თუ რამ სალანძღავი სიტყვაა ქართულ ენაში, ყველაფერი დახორავებული იყო. ლექსის ბედის გადაწყვეტა გიორგი ლეონიძეს მიანდეს. გოგლამ წაიკითხა ლექსი და უთხრა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჯანგულაშვილს: **პოლიტიკურად მტრის ლანძღვა იქნებ ცუდიც არ არის, შენი კახურობით იქნებ სჯობიხარ კიდეც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, მაგრამ რაც შეეხება ქეცს, ეს ნამდვილად საკითხავია, ვინ არის ქეციანი, ჯანგულაშვილი თუ ჩერჩილიო...** კი, კი, ეგრე იყოო, მიპასუხა, როცა შევახსენე...

**ამ ამბავს** ერთხელ თავისი „თავგადასავლის“ კიდევ ერთი შემთხვევა მოაყოლა:

7 ნოემბრის დღესასწაულზე მთავრობის ტრიბუნას მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა ჩავუარეთო. მუავანაძემ რომ დაგვინახა, ქუდი მოიხადა, ჰაერში გაიქნ-გამოიქნია და მიკროფონში ჩაიძახა: **ხელოვნების ვაშაკეებს მუშაა!** რის მერეც მაშინდელ ლენინის მოედნამდე სულ სიცილ-სიცილით ვიარეთო...

**როცა** ხუმარსიტყვის ხასიათზე იყო, გოგლა ღიმილიანად ამბობდა: **რამიშვილისა და სუხიშვილის ანსამბლი ერთხელ პარიზიდან რომ ჩამოვიდა, ჰკითხეს, თქვენს კონცერტს პარიზში მორიაკი თუ დაესწროო. ფრანსუა მორიაკმა სწორედ იმ წელს მიიღო ლიტერატურაში ნობელის პრემია. რას ამბობ, კაცოო, უპასუხებია ილიკო სუხიშვილს, მორიაკი კი არა, რამდენიმე ადმირალიც გვესწრებოდაო...** სუხიშვილთან დაკავშირებით არც იმის გახსენება ავიწყდებოდა, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პირველ დეკადაზე მოსკოვში ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ სტალინს ილიკოსთვის უთქვამს, დიდად მასიამოვნეთ, **აგაშენათ ღმერთმაო**. სტალინი რომ წასულა, **კალინინს უკითხავს ილიკოსთვის: რა გითხრათ კობამაო, ჩტობი ბოგ ვას პასტროილო, მიუგია ილიკოს.** რაც შეეხება თავად კალინინს, მგონი, პაჭკორიას გუნდს „კრიმანჭული“ რომ შეუსრულებია, ერთ-ერთ ქართველ კორესპონდენტს უთხოვია კალინინისთვის, მიხაილ ივანოვიჩ, მითხარით თქვენი შთაბეჭდილება, როგორ მოგეწონთ ქართული ხალხური სიმღერაო, **„კრიმანჭულზე“** უკითხავს. **პესნია ოჩენ ხოროშაია ი ისპოლნენიე ბილო ხაროშეე, ნო, დუმაიუ, ჩტო ოდინ დურაკ მეშალო...** გოგლა ძალიან ხალისობდა ამ წვრილ-წვრილი საღიმილო ამბების გახსენებისას...

**მახსენდება** ერთი ასეთი შემთხვევაც. იმ დღეს, მგონი, ოქტომბერი იყო. ნომერში იბეჭდებოდა გიორგი ლეონიძის ლექსი. როგორც ყოველთვის, ახლაც კორექტურის წასაკითხად მოვიდა. შევედით პასუხისმგებელ მდივანთან ვაჟა ჯალაღანიასთან, უკეთილშობილეს, ღვთისნიერ ადამიანთან, გაზეთს გადამკვდარ ჟურნალისტთან, რომლის გარდა მჭედლიშვილის სარედაქციო რეჟიმს, ალბათ, სხვა ადამიანისშვილი ვერ აიტანდა. პირველი ის თვითონ იყო, მჭედლიშვილი, იმ თავისი რეჟიმის აღმსრულებელი. ახლა რომ ვფიქრობ მაშინდელ ჩვენს სამუშაო პირობებზე და ამჟამინდელ მდგომარეობიდან გავცქერი, როცა ყველას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, თვით იმ ადამიანების ჩათვლით, ვინც თავისი ზურგით ზიდა არცთუ მსუბუქი საქვეყნო ტვირთი შემხვედრი თაობისთვის გადასაცემად, ლამის დავდგე და ვიყვირო, რისთვის ვიდენიდით ოფლს, რისთვის ვტეხდით ღამეებს, იმიტომ ხომ არა, რომ დღეს ყველა ვიგინდარას ველანძღეთ და მთელი ჩვენი ნაშრომ-ნაღვაწი დროის მღვრიე წყლისთვის გაეტანებინათ?! ეს ჩემდა უნებლიეთ წამომცდა ხმამაღალი ფიქრი... ნომერში იბეჭდებოდა ჩვენი ერთ-ერთი თანამშრომლის ეთერ მამალაძის წერილი რომელიღაც სკოლაში გამართულ კონცერტზე. სტამბიდან, მესამე სართულიდან, ჩვენ მეოთხე სართულზე ვიყავით, დარეკა გაზეთის გამომშვებმა, ძველმა, დამსახურებულმა პოლიგრაფისტმა სერგო მამალაძემ. რა კარგია, სერგო, რომ დარეკეო, შეეხმიანა ვაჟა, ბატონი გიორგი გვეწვია და ლექსის კორექტურა ამოაგზავნეო. კორექტურას ახლავე ამოვაგზავნიო, სერგომ, მაგრამ ეთერ მამალაძე ორში არ ეტევაო, და გაიმართა მცირე დიალოგი, შე კაი კაცო, ჩაიძახა ვაჟამ ყურმილში, რადგან სერგოს ლაპარაკიც ხმამაღლა ისმოდა, ჩემგან რა გესწავლება, **დააყენე ეთერი ოთხში და უკნიდან ოციანი მიეციო...** ატყდა გულიანი სიცილი... **კიდევ კარგი გაზეთის ამბავი მესმის, მე თვითონ ვუშვებდი გაზეთს ახალგაზრდობაშიო, თორემ, ცოტა არ იყოს, სულ სხვანაირად გავიგებდი სერგოს ნათქვამსო,** სიცილში გაურია გოგლამ. არა, ბატონო გიორგი, რას ბრძანებთ, მაგ სხვანაირობისგან ღმერთმა დაგვიფაროსო, თავი იმართლასავით ვაჟა ჯალაღანიამ. კარგი, კარგი, გავიხუმრეო, გოგლამ და ის-ის იყო ამოგზავნილი ლექსის კორექტურას ჩაუჯდა... ჰო, მართლა, ეთერი მამალაძის იმ ოთხზე დაყენებულ წერილში კომპოზიტორ დონიცეტის ნაცვლად დედნისეული დოცენტი გაიპარა...

აბა, ერთი იმ მაიორაზე თქვი, როგორ გამოიარა ოთხმოცზეო, მეტყოდა ხოლმე გოგლა. ეგა, კაცო, ნამდვილად ჯაყოს ბიძაშვილი იქნებოდაო... კი, ერთი ასეთი ოსი ახლობელი მართლა გვყავდა. ერთხელ რაღაც რელიგიურ დღესასწაულზე სოფელ თეძმისხევში, ჩემს ცოლეურში დავპატიჟეთ და ძალიან გვიან მოვიდა, ქეიფი თითქმის თავდებოდა, ქალებმა სუფრის ამატება დაიწყეს. რო ვკითხეთ უკვე კარგა ნასვამს, სად იყავიო, ოთხმოცზე ვიყავიო, ერთი ორმოციდან მეორე სოფელში გამოევლო ორმოცზე და შეაჯამა, რაღა ცალ-ცალკე ვთქვა, სად ვიყავიო. ეს მაიორა მიადგა თურმე ერთხელ თავის ნათლიმამა გიგას ზემო ხანდაკში, ბიჭის ძეობა გაქ და ღინო გინდა, ოღონდ პატიმარი ღინოო, ესე იგი, სათავითავოო, გიგასაც გამოუტანია ოცლიტრიანი ზედაშე ჩინური, მაიორამ მოსვა თურმე და დაიღრიჯა, გიგა, რაკი ოსი ხარ, ვერ მოატყუებო, ცოტა მონათლული გიქნიაო. კარგი, კარგიო, უთქვამს გიგას, გაუტანია ის ოცლიტრიანი და სხვა ჟოქო, წყლიანი ღვინო გამოუტანია. აი, ღინო გიგაო, ოსი მაიორა ვერ მოგატყუილაო, თავისი ჭკუით ნიშნი მოუგია მაიორას ნათლიმამისთვის... ერთი ოსი მაიორა ჩვენს მხარეშიც იყოო, გოგლამ, მაიორა ვარო, რომ იტყოდა, ყველას მილიციის მაიორი ეგონაო.

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი** იხ. №115-117, 118-119, 126-132

*ვაჟა გოგიაშვილი*

# ჩემი გიორგი ლეონიძე,

## ვინც ქართული ენის ნაყოფიერ ხოდაბუნში, როგორც გულთმისანმა გუთნისდედამ, მარადიული ღალიანი ორნატი გათელა



# სვეტიცხოვლობა

**14 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს საუფლოისა კვართისა და ღვთაებრივ ბრწყინვალე მირონმდინარე სვეტის ბრწყინვალე დღეს, ასევე, მცხეთობა-სვეტიცხოვლობას, საფარველისა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, მოციქულთა სწორისა, მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი, წმიდისა სიდონიასი და აბიათარ მღვდელისა, ურიაყოფილისა, საქართველოს პირველი კათალიკოს-პატრიარქისა, სვეტიცხოვლის განმაახლებლისა, წმიდისა მელქისედექ პირველისა.**

...ცნობილია, რომ საქართველოში არსებულ სიწმინდეთა შორის ყველაზე დიდი სვეტიცხოველია!

საგულისხმოა ისიც, რომ აქ, ამ ადგილას, ხის ეკლესია იდგა. მისი მშენებლობისას ერთი სვეტი თურმე ვერაფრით ჩაასვეს მიწაში. წმინდა ნინოს ლოცვით ანგელოსმა ზეცად აიტაცა სვეტი, მერე კი ის ღვთაებრივი ნათლით შემოსილი ნელ-ნელა დაეშვა დაბლა და ზუსტად იმ ადგილას გაჩერდა, სადაც უფლის კვართია დაფლული. მის გარშემო აიგო სვეტიცხოვლის ტაძარი.

ნიშანდობლივია ის, რაც წმინდა ნინოს ქადაგებას და მეფე მირიანის მოქცევას თავისებური პრეისტორია უძღვის წინ: მცხეთელ ებრაელს ელიოზს, რომელიც ქრისტეს ჯვარცმაზე დასასწრებად გაემგზავრა იერუსალიმს, ქრისტეს სამოსელის გაყოფისას წილად ხვდა კვართი.

**მცხეთაში დაბრუნებულ ელიოზს შეეგება თავისი და სიდონია. მან კვართი გულში ჩაიკრა და მაშინვე სული განუტევა. სიდონია კვართით ხელში სამეფო ბაღში დაუკრძალავთ. მოგვიანებით მის საფლავზე ლიბანის კედარი ამოსულა... როცა ძართლის მეფე მირიანმა და მისმა მეუღლემ, პონტოელი მთავარსარდლის ასულმა ნანამ – აბიათარ მღვდლის ნაჩუქარი წიგნები წაიკითხეს, მაშინვე გადაწყვიტეს ქრისტეს რჯულზე მოქცეულიყვნენ, მეფე მირიანმა გადაწყვიტა, ტაძარი სამეფო ბაღში აეგო... სწორედ იმ მეშვიდე სვეტის, რომელიც ჰაერში გაჩერდა, თაყვანის საცემად მიდიოდა უამრავი ავადმყოფი და იკურნებოდა...**




სწორედ ეს იყო სვეტიცხოველი, სვეტი სიცოცხლის მომნიჭებელი, ტაძარსაც მისი სახელი ეწოდა.

**გიული ლიპარტია**

**„... არს ეკკლესია ღვთის მშობლის შობისა 8-სა დღესა ზედა სეკდემბრისა თთ3სასა, აღშენებული ძველადვე... 634-სა...“ – (წყაროებიდან).**

„მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ ადრინდელსა“

რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

# მარიამ წმიდაჲ ეკლესიაჲ, ანუ ანჩისხატი, დიდი, უგუნბათო...

ანჩისხატის ეკლესიის ადგილზე როდის აშენდა ღვთისმშობლის შობის პირველეკლესია, დღემდე დავის საგანია, თუმცა ზოგი ისტორიკოსი ეკლესიის მშენებლობას დაჩი უჯარმელის (V-VI სს.) სახელს უკავშირებს. ეკლესია, დღიდან დაარსებისა, კათოლიკოსთა რეზიდენცია გამხდარა და ესე „მარიამ წმიდა“ ეკლესიაჲ“ ის ერთადერთი ტაძარი გახლდათ, სადაც რომ „ზარი ყოველთვის ხმიანობდა“, მუსულმანთა 400-წლიანი ბატონობის დროსაც (VII-XI სს.) ჩვენს თბილისქალაქსა ზედა და ამის გამო, ტაძარს „ზარის საყდარი“ ეწოდა, თურმე ერთ დროს.

...ზარის საყდარი კი, არსებობის მანძილზე, მრავალჯერ დაინგრევა და აღდგება...

XVII საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთ საქართველოს თურქები დაეპატრონებიან, რა დროსაც კათოლიკოსი დომენტი III კლარჯეთის მონასტერ ანჩადან სასწაულმოქმედი ხატის ჩამოტანას მოითხოვს, რომლის ადგილსამყოფელად მარიამ წმიდაჲ ეკლესიაჲ შეირჩევა და მას შემდგომ “... **ეკლესია ესე იწოდება ანჩისხატად... და აწცა ჰყოფს მრავალსა კურნებასაჲ“**

ხატი **„აწცა ჰყოფს მრავალსა კურნებასა“** და აი, რატომ ...

ჩვ. წ. I საუკუნეში ედესის მმართველი (რომის იმპერია) ავგაროზი გახლდათ, რომელიც სნეულად ყოფილა და მაცხოვართან მხატვარი გაუგზავნია, რომელსაც დავალებული ჰქონდა, თუ იესო ედესაში ვერ ჩაბრძანდებოდა, მისი ხატი დაეხატა. მხატვარი ცდილობდა იესოს სახის დახატვას, მაგრამ ვერა და ვერ გამოსდიოდა. მაშინ მაცხოვარმა ტილო სახეზე მიიდო და „პირი ღვთისა“ ტილოზე გარდასულა...

მას შემდეგ მრავალი დრო გაივლის და ხატი მრავალ ადგილსამყოფელსაც გამოიცვლის, მაგრამ XIII საუკუნეში, ჯვაროსანთა ლაშქრობისას, როდესაც ჯვაროსნებს ხატი ბიზანტიიდან ევროპაში გემით გადაჰქონდათ, ადრეატიკის ზღვაში გემი ჩაძირულა და გემთან ერთად „პირი ღვთისა“ ჩაიძირა...

...და ხდება სასწაული – ხელთუქმნელი ხატი ტილოდან ხის იმ დაფაზე გარდასახულა, რომელ დაფაზეც თავად ყოფილა დამაგრებული და ზღვის ზედაპირზე ამოტივტივებულ დაფას, თამარ მეფის ბრძანებით, საქართველოში ჩამოაბრძანებენ, კლარჯეთთან არსებულ ანჩის მონასტერში დააბრძანებენ და ბრძანებითვე „დედოფალთ დედოფლისა თამარისაითა... საუკუნესა მოიჭედა ჯე(ლი)თა ბექასაითა...“ – ეს კი ცნობილი ოქრომქანდაკებელი ბექა ოპიზარი გახლავთ (ხატი ინახება საქ. ოქროს ფონდში).

...ასე გაჩნდა უბანი – ანჩისხატის უბანი ჩვენს თბილის-ქალაქში ერთ დროს.

XVIII საუკუნეში ტაძრის ეზოში სასულიერო სემინარია დაარსებულა და აქვე დაარსებულა საერო სკოლაც, სადაც ისწავლებოდა **„ღეომეტრია, ღონგიმეტრია, ტრიღონომეტრია, ვიშეღეომეტრია – ...არხიდექტურა... ლოღიკა“** და მრავლად „სხვანიცა“ და ხვდებით ალბათ, სწორედ აქ იღებდნენ განათლებას თავად-აზნაურთა შვილები და არამარტო – თავად უფლისწულებიც, ჰო და ამბობენ, ერეკლე მეფე წარჩინებულ მოწაფეებს თავად აჯილდოებდაო.

...შემდეგ კი...

...ხომ ხვდებით შემდეგ რა მოხდებოდა **„დღესა სამშაფათსა... რიცხვსა ენკენისთვესა“** (1795 წ.11 სექტემბერი), აღა მაჰმად-ხანის შემოსევისას გადაწვავენ ჩვენ თბილის-ქალაქს?! ...ტფილისთან ერთად ტაძარიც მიწასთან გასწორდა...

...აწ უკვე დანგრეულ ეკლესიას XIX საუკუნის I ნახევარში აღადგენენ და აღდგენილ ტაძარს თავზე გუმბათს დაადგამენ, რომელსაც მოსხნიან და შემდგომ, XX საუკუნის II ნახევარში, დიდი რეკონსტრუქციისას გამოვლინდება ტაძრის პირვანდელი იატაკი, აღდგება XVII საუკუნის ფრესკების ფრაგმენტები და ანჩისხატის ტაძარს XVII საუკუნის იერ-სახე დაუბრუნდება.

ჰო, მავიწყდებოდა მეთქვა, ეკლესიის ჩრ. დას. კუთხეში კათოლიკოს-პატრიარქის ევდიმოზ I-ის (XVII ს.) სამარხია, რომელიც როსტომ მეფის წინააღმდეგ დიდ შეთქმულებას აწყობდა თურმე და ამის გამო, მეფემ კათოლიკოსი ჯერ „დაახრჩობინა მეტეხის ციხესა“, შემდეგ კი ნარიყალას...

თუმცა ეს სულ სხვა ისტორია გახლავთ და თხრობას აღარ გავაგრძელებ.

№ 132-133. ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 14-15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 2020 ᲬᲚᲘ.

# ᲣᲕᲘᲪᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲓᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

**ᲒᲔᲚᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ᲗᲣ ᲚᲐᲚᲕᲐᲜᲘᲡ ᲥᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲮᲣᲯᲐᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲡᲣᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲘᲓᲐᲜ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲠᲔᲯᲖᲔ“?!**

**მხოლოდ დავით გარეჯთან მიმართებით არ იკვეთება გულგრილობა. თურმე ასეთივე ვითარებაა ლალვანის ქედთან, ხუჯაბის მონასტერთან და სხვა ტერიტორიებთან მიმართებით და, თუ აღმოვაჩენთ, რომ ისინი გასულია ჩვენი სივრციდან, მაშინ მივხვდებით, რომ ყურადღების გადატანა მექანიკურად მოხდა დავით გარეჯზე.**

**ამ გულგრილობის შესახებ დღეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, სასაზღვრო საკითხების დამოუკიდებელი ექსპერტი გელა ხუციშვილი გვესაუბრება.**

**— პროკურატურის მტკიცებით, დავით გარეჯის ტერიტორიის მონაკვეთი ქართველ მეცნიერთა მხრიდანაც დაუცველი ყოფილა.საუბარია სახელმწიფო ღალატის საქმეზე და დოკუმენტაციის გადამალვაზე აზერბაიჯანის სასარგებლოდ. რამდენად დამაჯერებელია ცალკეულ ექსპერტთა მოსაზრება, რომ კომისიის წევრები, განსაკუთრებით, ნატალია ილიჩოვა საეჭვოდ იქცეოდა?**

— საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ ჩვენმა სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, რომელი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეა. თუ ჩვენ ვართ პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე, მაშინ უნდა ვიხელმძღვანელოთ 1920 წლის დოკუმენტაციით. ხოლო, თუ ვართ მეორე რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე, მაშინ, როდესაც შევედით დამოუკიდებელ რესპუბლიკად საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იმ დოკუმენტებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. დავით გარეჯთან მიმართებით, რა თქმა უნდა, პირველი რესპუბლიკის დროინდელი დოკუმენტაცია გვაწყობს. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხს დოკუმენტების გადამალვასთან დაკავშირებით, როგორ შეიძლება, დოკუმენტი მარტო ერთი ადამიანის ხელში იყოს?! იყო ასეთი საინტერესო ორგანიზაცია „სპეცგეო“ ბაქოს ქუჩაზე, ისინი არსად წასულან, მართალია, დაშალეს, მაგრამ საბუთები შენახულია. ეს არის 30 კილომეტრი საზღვრის შიგნით და 10 კილომეტრი საზღვრის მიღმა, მთელი ტერიტორიები 25-ათასიან რუკაზე ჰქონდათ დატანილი. ახლა რუკებზე ლაპარაკობენ, მაგრამ რუკას თუ განმარტებითი ტექსტი არ აქვს დართული, ის როგორ შეიძლება იყოს სახელმძღვანელო მოხაზულობის მიხედვით? რუკა არის კოორდინატები, გრძედები, განედები, ეს არის აღწერილობა თითოეული მონაკვეთისა. ტოტალური უვიცობაა ყველგან და გულგრილი დამოკიდებულება საკუთარი მოვალეობისადმი.

**— აზერბაიჯანის მხარეს საზღვრის დამდგენი კომისიის შემადგენლობა ძირითადად უცვლელად მუშაობს, მაშინ, როცა ქართული კომისიის წევრები გამუდმებით იცვლებიან. ახალ-ახალი წევრების შემატება რამდენად აზიანებს ამ კომისიის საქმიანობას?**

— სადელიმიტაციო კომისიის წევრები რიგ სახელმწიფოებში სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებენ კომისიის წევრობის სტატუსს. ახლა რატომღაც მხოლოდ ჩიჩხიტურსა და გარეჯის კონკრეტულ მონაკვეთზე იქნა მთელი ყურადღება გადატანილი და უყურადღებოდ დარჩა სომხეთის საზღვარზე ლალვანის ქედი და ხუჯაბის მონასტერი. კაციშვილი არ ინტერესდება, იქ ამჟამად რა მდგომარეობაა. სინამდვილეში, იქაც ისეთივე კატასტროფული მდგომარეობაა.

**— ანუ სომხებს გადაეცათ ეს ტერიტორიები?**

— მე აღარ ვარ ახლა ისეთი კომპეტენციის მქონე კაცი, რომელსაც შეუძლია ამის გადამოწმება, მაგრამ ღრმად მწამს და ეჭვი მაქვს, რომ იქ მოხდა ანალოგიური თაღლითობა და უფრო მეტიც. ლალვანის ქედი იყო კონდომინიუმი, ანუ ორივე სახელმწიფო ვსარგებლობდით ამ ტერიტორიით. ასეთივე ცუდი და სავალალო მდგომარეობაა შატილის მიმართულებით, მდინარე ანდაკისა და არღუნის შესართავთან, აქაც 1999 წლის 19-21 მაისს კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილ იქნა დოკუმენტი, რომელიც საქართველოს საზიანოდ იყო შედგენილი. კატასტროფული მდგომარეობაა დიკლოს მთაზეც, სადაც 3000 კვადრატული მეტრი მიწის ფართობია მიტაცებული დაღესტნის მიმართულებით. ჩვენ კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს დემოგრაფიული ვითარების გამო, მოსახლეობა აღარ გვყავს ამ პერიფერიებზე. გარდა ამისა, არასწორად არის გაკეთებული საზღვრის გამიჯვნა ლაგოდეხის მომიჯნავე ტერიტორიაზეც. იქ საზღვარი ალაზანზე გადის, მდინარე გადავარდა და ახლა სოფელ ერისიმედსაც კი გვედავებიან. ასეთი „ლაფსუსები“ ხდება ხოლმე.

ივერი მელაშვილი ძალიან კარგი სპეციალისტია, ის მიწათმომწყობია, მან კარგად იცის საქართველოს მიწათსარგებლობის უფლებით 1985 წელს რა ტერიტორიები გადმოეცა. იყო საინტერესო კარტოგრაფი ცხონებული ჯანსუღ კეკელია.

**— ასეთი პრობლემები მხოლოდ სახმელეთო საზღვარზეა? რა ხდება საზღვაო მონაკვეთზე? ის მაინც თუ არის დაცული?**

— ძალიან დაუდევრად ვექცევით საზღვაო მონაკვეთს, 7500 კვადრატული კილომეტრი, ზღვის ტერიტორიული წყლების მონაკვეთი ქვეყნის მთლიან ტერიტორიაში შეყვანილი არ გვაქვს.

**— ეს გამიზნულად კეთდება?**

— ეს არის უვიცობა ან ღალატი. როდესაც მაღალი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირი იკავებს თანამდებობას, მას უფლება აღარ აქვს, თქვას, არ ვიცოდი, შევცდი. მოქმედება, ან უმოქმედობა, რომელსაც მძიმე შედეგი მოსდევს, დანაშაულია.

**— უკვე არის პრეცედენტი, როცა ჩვენი სამხრეთელი მეზობელი სათავისოდ იყენებს ჩვენს საზღვაო მონაკვეთს?**

— გამოყენებული არ არის? თურქეთის თევზსაჭერი სეინერები შემოდიან და იჭერენ თევზს, თანაც, უღმერთოდ იჭერენ. ბადის ტრალი ფსკერს მთლიანად თხრის, მთელი საზღვაო ფაუნა მიაქვს და ანადგურებს. რა ხდება, უკვე ველარ ვიგებ. არ შეიძლებოდა სასაზღვრო უწყების დანგრევა მას მერე, რაც ვალერი ჩხეიძემ ააწყო ეს სისტემა. დღეს სახელმწიფოს ერთადერთი მისახედი რაც აქვს, ეს ქვეყნის საზღვარია. 2018 წელს, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატი ვიყავი, პირველ საკითხად რასაც ვაყენებდი, ის იყო, ვინც არ უნდა გახდეს საქართველოს პრეზიდენტი, რა უფლებებითაც არ უნდა იყოს შეზღუდული, მას საკანონმდებლო ინიციატივა თუ არა, პარლამენტში საკითხის შეტანის უფლება მაინც აქვს და პირველსავე სხდომაზე უნდა დასმულიყო საკითხი საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ინვენტარიზაციის შესახებ, რათა წარმოდგენა გვქონდეს, რა სივრცეში დავრჩით და ვიმყოფებით. შეიძლება საზღვრის საკითხში არ დავდო ბრალი ცალკეულ პირებს, რადგან არ იციან ეს საკითხი, მაგრამ ყველა ხელისუფალი სცოდავს საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმებისას. მთელი რიგი ხელშეკრულებებია გაფორმებული, რომელიც უზარმაზარ პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ზარალდება საქართველოს ინტერესები. არადა, მიღებულია ეს ხელშეკრულებები ვიღაცის ხმაზე აყოლით. ეს არის ლტოლვილთა შესახებ კონვენცია, ეს არის ამჟამინდელი ხელშეკრულებები აზერბაიჯან-სომხეთთან უვიზო მიმოსვლის შესახებ, ეს არის თურქეთსა და საქართველოს შორის გაფორმებული ჩარჩო-ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეთანხმება სასაზღვრო საკითხებთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი დაგროვდა და კაცი არ არის ამის განმკითხველი.

**— თქვენ ახსენეთ სხვადასხვა პერიოდში კომისიის წევრების მხრიდან დაუდევრობა ან მოღალატეობრივი ნაბიჯები. რა გარანტიაა, რომ დავით გარეჯთან მიმართებითაც იგივე არ მოხდა?**

— იცით, რაშია საქმე? კომისიის წევრებს კიდევ ქვემოთკენ ჰყავთ ხელქვეითები. ეს არის ტიპური ქართული სიზარმაცე, რაც უფრო მატულობს კომპეტენცია, კლებულობს კომპეტენტურობა, მინდობილია ეს საქმეები ცალკეულ ექსპერტებზე, ტექნიკურ მუშაკებზე, რომლებიც ამზადებენ ამ მასალებს. ამიტომაა, რომ სპეცსამსახურებმა დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის მთელი შემადგენლობა და ტექნიკური პერსონალი სკრუპულოზურად უნდა შეისწავლონ, ეს უკვე დაგვიანებულია. იყო ასეთი პერიოდი ჩვენს მოღვაწეობაში, რომ კომისიის თავმჯდომარეს ამტკიცებდა პარლამენტი. დღესაც, ალბათ, უმჯობესი იქნება, სადელიმიტაციო კომისიის თავმჯდომარე ჰორიზონტალურად პრეზიდენტს ექვემდებარებოდეს, რადგან პრეზიდენტია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი. პრეზიდენტს უნდა მიეცეს უფლებამოსილება, იყოს საქართველოს მთავარი სასაზღვრო წარმომადგენელი. ვინმეს პირადი დაინტერესება, გაყიდვა და უბედურებები რომ გვაწუხებს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მთელი სტრატეგიული ნედლეული, ენერგორესურსები, ხორბალი და სხვა, აზერბაიჯანს გადავეცით.




მარტო 2008 წლის ომის ერთ თვეში ზუგდიდის, გორის, საგარეჯოს, თბილისის ელევატორები (ხორბლის მიმღებ-გადამმუშავებელი) ზოგიერთი მთლიანად, ზოგი 50%-ით „სოკარს“ გადაეცა. ლორდი ჰამილტონის სიტყვებს გავიმეორებ, ვიღას აღარ აბრალებენ ამ სიტყვების თქმას, „სახელმწიფოს არ უნდა ჰყავდეს მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები, მას უნდა ჰქონდეს მუდმივი ინტერესები“. ჩვენს მეზობლებს აქვთ მუდმივი ინტერესები, საქართველოს მუდმივი ინტერესები კი ვინმეს გაუგია? საქართველოს მუდმივი ინტერესები უნდა იყოს მიწა-წყალი, რომელსაც ასე გვედავებიან. დავკარგავთ ტერიტორიას, აღარ ვიქნებით ერი, ვიქნებით ეროვნება. მდგომარეობა სავალალოა.

**— ანუ თქვენ მიანიშნებთ, რომ ირაკლი მელაშვილის კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ შეგაქვთ, მაგრამ შეიძლება ხელქვეითებმა გარიგებები დადეს?**

— ძნელია, ვინმეზე ბრალის წაყენება, უდანაშაულობის პრეზუმფცია არსებობს, ერთი კი ფაქტია, საშინელი უვიცობა და დაუდევრობა, საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებაა. ჯერ ასე ჩავთვალოთ, მერე გამოძიება ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. მთავარია, ახლა გაირკვეს ლალვანის ქედის და ხუჯაბის მონასტრის საკითხი. თუ აღმოვაჩინეთ, რომ ეს უკვე გასულია ჩვენი სივრციდან, მაშინ მივხვდებით, რომ ყურადღების გადატანა მექანიკურად მოხდა დავით გარეჯზე. სასაზღვრო საკითხებში დავბერდი და, როგორც კი დაიწყო დავით გარეჯის საქმე, ინტუიციამ მიკარნახა, რომ ერთი თემა მეორით იფარებოდა. კიდევ ძალიან რთული მდგომარეობაა ვახტანგისში, ასეთი მონაკვეთია გარდაბანში. გარდაბანი და ახალქალაქი მოწყვლადი მონაკვეთებია, აქ ერთი ეთნოსი პირდაპირ ემიჯნება მოპირდაპირე მხარეს, აქეთ სომხები არიან, იქით — აზერბაიჯანელები. დღეს უკვე ფულია ბევრი რამის განმსაზღვრელი და ბევრ ეთნოსში, სადაც ენაც კი არ იციან ჩვენი, მოქალაქეობრივი ღირსების გრძნობა დევალვირებულია, ეს ადამიანები გამოდიან მერკანტილური მიზნების მსხვერპლნი და მსახურნი...

**ესაუბრა**
**ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ**

◎ ᲬᲙᲔᲕᲚᲘᲙᲐ

# ᲙᲐᲠᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲑᲠᲐᲙᲐᲓᲐᲑᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲓᲠᲝᲡ ᲛᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲠᲔᲯᲨᲘ

**ᲡᲐᲕᲐᲒᲚᲐᲮᲝ** ᲓᲐ ᲡᲐᲓᲐᲠᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲒᲕᲐᲙᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲔᲛᲐᲢᲐ – ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲮᲛᲐᲣᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲠᲝᲨᲐᲓ ᲐᲤᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ.

ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ ᲔᲫᲔᲒᲜᲔᲑᲐ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ �პᲘᲠᲓᲐ�პᲘᲠ ᲧᲔᲚᲨᲘ ᲡᲬᲕᲓᲜᲔᲜ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ“ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲒᲐᲑᲔᲓᲔᲗ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝ ᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲚᲘᲩᲝᲕᲐᲡ ᲓᲐᲪᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲐ, ᲗᲥᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲝᲠᲣ, ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝᲓ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡᲝ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, „TV �პᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ“ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲐᲛ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲒᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲘᲒᲓᲝ (ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲪᲘᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ „ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ“ ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲐᲡᲛᲔᲚᲐᲓ), ᲮᲝᲚᲝ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲛᲔᲚᲐᲫᲔᲛ ᲣᲙᲕᲔ „ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲠᲐ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘᲐ, ᲯᲔᲠ ᲐᲠᲡᲛᲔᲜᲘᲚᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲐ�პᲐᲢᲘᲛᲠᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲐᲙᲪᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ – ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲔᲬᲕᲘᲐ ᲮᲛᲐᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲔᲠᲗᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ...



ᲐᲛ ᲐᲛᲑᲐᲕᲐᲛ (ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲙᲐᲠᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲛᲐ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ-ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲝᲑᲐᲛ) ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲪ ᲒᲐᲐᲠᲙᲕᲘᲐ – ᲙᲔᲠᲫᲝᲓ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲪᲘᲡ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲪᲘᲡ ᲡᲘᲚᲘᲠᲛᲔᲡᲘᲣᲚᲐᲓ, ᲣᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲚᲝᲓ, ᲣᲐᲞᲔᲚᲐᲪᲘᲝᲓ, ᲔᲭᲕᲨᲔᲣᲢᲐᲜᲚᲐᲓ. ᲓᲘᲓᲘ ᲡᲝᲙᲠᲐᲢᲔ, ᲔᲡ ᲭᲙᲣᲗᲘᲗ ᲒᲐᲢᲔᲜᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲗᲐᲕᲛᲓᲐᲑᲚᲐᲓ, ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲗ ᲒᲕᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲓᲐ: ᲛᲔ ᲘᲡ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲝ ᲓᲐ ᲠᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲔᲠᲒᲘ ᲙᲐ�პᲐᲜᲐᲫᲔᲛ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐᲛ თუ გიორგი მშვენიერაძემ ყველაფერი იციან, ყველაფერზე შეუძლიათ ტიკტიკი, და თანაც ისე, რომ შეპასუხებას, შეკამათებას, საწინააღმდეგო აზრის გამოთქმას გამორიცხავენ.

შე მამაგანათლებულო, გამოძიება მიმდინარეობს, აცადე ცოტა და მერე გამოთქვი შენი „შეუვალი, კომპეტენტური“ აზრი – მართალია თუ მტყუანია ის ᲮᲐᲚᲮᲘ, თორემ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲖᲔ დაბოლმილი მის ყოველ ნაბიჯს შეცდომად თვლი და აშავებ, სადაური წესია!

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲐ ᲐᲛ ᲙᲐᲠᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲐᲑᲠᲐᲙᲐᲓᲐᲑᲠᲐᲨᲘ, ᲨᲔᲜ ᲙᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲡᲝᲙᲠᲐᲢᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲖᲘᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲤᲡᲔᲕᲓᲝᲑᲠᲫᲜᲣᲚ, ᲤᲡᲔᲕᲓᲝᲖᲣᲡᲢ, ᲤᲡᲔᲕᲓᲝᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲢᲣᲠ ᲪᲝᲓᲜᲐᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ, ᲣᲕᲘᲪᲝᲑᲐᲡ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲘᲩᲘᲮᲘᲑᲐᲝᲑᲐᲡ რომ აფრქვევ, ამას ბრმა და ყრუც ᲮᲕᲓᲔᲑᲐ.

ᲙᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲓᲐᲕᲐ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ᲘᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲐᲘᲜᲪᲓᲐᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲛ ᲩᲐᲡᲐᲤᲠᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲯᲐᲠᲣᲚ ᲝᲞᲝᲜᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲪᲔ ᲡᲐᲔᲦᲐᲓᲐᲕᲝᲓ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲨᲔᲜᲘ ᲣᲙᲣᲓᲝ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲐᲡᲔ ᲡᲐᲐᲨᲙᲐᲠᲐᲝᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲗᲐᲜᲐ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲓᲠᲘᲡᲘᲐ.

* * *

„ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ“ ᲐᲛ ᲓᲔᲛᲐᲠᲨᲔᲑᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ „ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘ“.

9 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲨᲘ ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲐᲜᲘ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲝᲐᲬᲧᲝ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲨᲘᲡ“ 50-ᲛᲓᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲛᲐ. „ᲛᲐᲠᲨᲘᲡ“ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲗᲣᲠᲛᲔ ᲔᲡ ᲒᲐᲛᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ: **ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 10 ᲓᲦᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ ᲛᲘᲣᲪᲘᲐᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲮᲚᲐᲓᲐᲦᲛᲝᲩᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡ (ᲠᲣᲙᲔᲑᲘᲡ) ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲐᲕᲝ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲘᲧᲕᲐᲜᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲐᲖᲛᲔᲑᲘ. ᲣᲚᲢᲘᲛᲐᲢᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲔ ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲐᲛᲙᲕᲓᲠᲝ-ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲚᲔ ᲝᲛᲨᲘ ᲩᲐᲑᲛᲣᲚ ᲘᲚᲰᲐᲛ ᲐᲚᲘᲔᲕᲡ ᲡᲐᲓᲐᲕᲝ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲔᲛᲣᲧᲠᲐ.** სანდრო მარშელი სხვა მხრივაც უაღვიროდ იქცეოდა: აზერბაიჯანელებს ყიზილბაშებს უწოდებდა. ამაზე იტყვიან, გიჟი საყდარში შეუშვი, საკურთხევლს დაგიმტვრევსო.

სხვათა შორის, „TV პირველის“ ეთერში აზერბაიჯანელები ასევე ყიზილბაშებად მოიხსენია ირაკლი კაკაბაძემაც, რომელმაც სტუდია ანერვიულებულმა დატოვა.

გვამცნეს, რომ 15 მსუბუქი ავტომობილისგან შემდგარმა ურაპატრიოტთა კოლონამ, რომლებზეც გადმოფენილი იყო აზერბაიჯანული, თურქული და ქართული დროშები, სიგნალების თანხლებით მსვლელობა მოაწყო ძველი თბილისის ტერიტორიაზე. ძნელი სათქმელია, რა რჯულის ᲮᲐᲚᲮᲘ იჯდა იმ მანქანებში, მიზანი კი ნათელია: ვინაიდან იქ მრავლად ცხოვრობენ ეთნიკური სომხები, იმის დიდი ალბათობა იყო, რომ ეს ქმედება გამხდარიყო დიდი სამოქალაქო დაპირისპირების საბაბი.

**ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲚᲘ გადავრჩით და ეს მიგვანიშნებს, რომ სამომავლოდ მკაცრად უნდა გაკონტროლდეს მოქალაქეთა ქმედებები და ღონისძიებები, რათა ქვეყანაში თავიდან ავიცილოთ ეთნიკური დაპირისპირება და შევინარჩუნოთ მშვიდობა, რომელსაც ისედაც ულვთოდ ჯიჯგნის ყველა ჯურის ოპოზიცია და რომელიც ყველაფერს კადრულობს უიმედოდ შორს მყოფი „გამარჯვებისთვის“.**

**ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ**

◎ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲨᲕᲔᲚᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

# ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲡᲣᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ

## ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲔᲡ

**ᲑᲐᲢᲝᲜᲝ** �გᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲝ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲝ! ᲓᲦᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲩᲔᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲔᲥᲪᲔᲕᲘᲗ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲥᲔᲜᲯᲜᲐᲡ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲣᲐᲠᲔᲡᲘᲪ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ.

90 ᲬᲚᲘᲡ ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲑᲝᲠᲝᲢᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲠᲔᲕᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ.... ᲙᲐᲜᲝᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲛᲓᲔ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲡᲗᲐᲒᲐᲜᲛᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲮᲔᲚᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲘ ᲣᲒᲣᲚᲔᲑᲔᲚᲧᲝᲤᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲔᲜ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲐᲛ ᲣᲛᲡᲒᲐᲕᲡᲝᲑᲐᲖᲔ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲮᲣᲭᲐᲕᲗ, ᲠᲐᲢᲝᲛ? ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘᲗ �გᲘᲜᲓᲐᲗ ᲠᲝᲛ ᲐᲛᲝᲛᲮᲐᲓᲝᲗ ᲡᲣᲚᲘ? ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲐ ᲓᲐᲒᲘᲨᲐᲕᲔᲗ, ᲠᲐᲢᲝᲛ �გᲘᲜᲓᲐᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲞᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲛ ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ? ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ ᲙᲠᲣᲮᲘᲕᲘᲗ ᲐᲖᲘᲡ 2019 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲗᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲛᲐ�გᲓᲐ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲥᲪᲔᲕᲗ ᲐᲛ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲤᲐᲥᲢᲡ.

ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲝ�გᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ 2020 ᲬᲚᲘᲡ 17 Ა�გᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲖᲘᲐ �თᲝᲓᲣᲐᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲖᲔ. ᲛᲘᲘᲚᲘᲐ ᲝᲠ ᲗᲕᲔᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲡ. 2020 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲛᲝ�გᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ 89 ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ, ᲠᲐ ᲑᲔᲓᲘ ᲔᲬᲘᲐ, ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲡ. 2020 ᲬᲚᲘᲡ 18 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲛᲝ�გᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ, ᲐᲛᲐᲡ �გᲬᲔᲠᲓᲐᲗ �გᲐᲛᲬᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲛᲝᲛᲐᲥᲪᲘᲔᲗ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ, ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ, ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ, ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲐᲡᲠᲣᲚᲝ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ-ᲛᲔᲗᲔᲥᲘ.

ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲛᲘᲒᲔᲒᲔᲚᲝᲗ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ, ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲣᲬᲧᲘᲡ, ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲙᲣᲭᲭᲣᲚᲘ ᲛᲐ�გᲓᲐ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ, თუ ᲡᲮᲕᲐ მის მსგავს ადამიანს აქვს გადამალული და ელოდებიან, ალბათ, ცნობას, როდის დავასრულებ სიცოცხლეს თვითმკვლელობით. თქვენი მექრთამე ჩინოვნიკები მფართველობენ ბოროტმოქმედებს. დავიჯერო, მითითება გაქვთ მიცემული, რომ ჩემს საჩივარზე, განცხადებებზე პასუხი არ მაღირსონ და ასეთი გულგრილობით გასაგიჟებელი რამ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ! დაწყებული მაგდა კაპანაძიდან – ქვემოთ რაიონულ პროკურატურებში, მეპყრობიან არა როგორც ადამიანს, არამედ, როგორც ცხოველს, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, როცა მე ვითხოვ სიმართლის დადგენას, ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას, თქვენი ᲮᲔᲚᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲘ მაგდა კაპანაძის მეთავეობით დაკავებული არიან დანაშაულის ჩამდენი პირების მფარველობით, დიდი ალბათობით, ქრთამის სანაცვლოდ. ერთი მხრივ, ჩემს შვილს, რომელიც იყო ნაცმოძრაობის იდეოლოგი და სააკაშვილის მხარდამჭერი, და მეორე მხრივ, თქვენს ᲮᲔᲚᲗᲥᲕᲔᲘᲗ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲔᲑᲡ მივყავარ თვითმკვლელობამდე.

**ᲩᲔᲛᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲐᲐᲢᲐ ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝᲓ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲑᲘᲖᲦᲔᲑᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲔᲑᲡ ᲠᲐᲢᲝᲛ? ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲡ ᲐᲠ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ ᲐᲓᲠᲔᲡᲐᲢᲡ, ᲠᲝᲛ „ᲡᲐᲖᲘᲖᲦᲐᲠᲘ“ ᲛᲐᲛᲐᲡ „ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ“ ᲩᲐᲛᲓᲔᲜᲡ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲔᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲐᲢᲘ ᲑᲝᲓᲘᲨᲘᲡ ᲒᲘᲮᲓᲘᲡ, ᲗᲣ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲣᲧᲔᲜᲔᲑ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐᲡ, ᲛᲐᲡ ᲔᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲝᲗ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲓᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲖᲣᲠᲒᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲐ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲐᲡ ᲛᲘᲬᲔᲡᲔᲑᲡ, ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲢᲝᲚᲡᲤᲐᲡᲡ, ᲐᲠᲗᲛᲔᲕᲡ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐᲨᲘ ᲓᲔᲑᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲘᲛᲔᲐ. ᲗᲐᲜᲐᲪ ᲐᲡᲔᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲗᲣ ᲐᲡᲔ ᲔᲖᲘᲖᲦᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲐᲛᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲠᲝ�გᲝᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲐᲛ „ᲡᲐᲖᲘᲖᲦᲐᲠᲘ“ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲕ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲓᲐᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲐ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲡ? ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ, �გᲐᲛᲐ�გᲔᲑᲘᲜᲔᲗ,ᲠᲝᲛᲔᲚ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲡ ᲔᲧᲠᲓᲜᲝᲑᲐ ᲔᲡ ᲑᲣ

◎ მემორიალი

# დადიანის სადიდებელი

**ოლიმპიურ სასახლეში მისულს, გული გაგინათდება — გვერდით უკვე ევრობასკეტის სამასპინძლოდ დაჩქარებული ტემპით მშენებარე ახალი მულტიფუნქციური სპორტული სარბიელის კედლები წამომართულა და დარწმუნებულნი ვართ, ობიექტი ვადამდე ჩაბარდება მომავალი ფორუმის ორგანიზატორებს.**

კარგი იქნებოდა, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, ეროვნული ნაკრების კაპიტნის, „ვითას“ შემადგენლობაში ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონის **დუდუ დადიანის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის ფინალურ მატჩსაც ანალოგიურ ხასიათზე დავეყენებინეთ, მაგრამ ასე არ მოხდა — კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა „ქუთაისმა“ იოლად დაჯაბნა მემორიალის რეკორდსმენი — მისი 6-გზის ჩემპიონი, „რუსთავი“ — 92:78 და მთავარ პრიზს მეორედ დაეუფლა.

გამარჯვებულებს 21 ქულით ილია ლონდარიძემ ულიდერა და სწორედ იგი დასახელდა ტურნირის MVP-დ.

დავძენთ, რომ ასპარეზობის დღეებში ეროვნული ნაკრების მაისურებით დაჯილდოვდნენ იუბილარები — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, 75 წლის მურმან ქურიძე და ვეტერანი კალათბურთელი, 60 წლის მამუკა ლომაძე.

ვულოცავთ!

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ გამოიცა

# ოდაბადეს მემატიანე

**ნუგზარ ჟვანიასთან სტუდენტობის უტკბილესი წლები მაკავშირებს.**

მართალია, დაუსწრებელზე სწავლის გამო სემესტრში მხოლოდ ათდღიანი ლიმიტი გვქონდა გამოწერილი ლექციებისა და ერთმანეთის მოსასიყვარულებლად, მაგრამ ეს შეზღუდული გრაფიკიც სავსებით საკმარისი გახლდათ იმის შესაცნობად, რომ ჩვენს ჯგუფს შესანიშნავი კოლხი ვაჟკაცი და პროფესიონალი კალმოსანი ამშვენებდა, რომელიც გამორჩეული იყო როგორც განათლების ფრონტზე, ისე მადლიან და ძარღვიან ქართულ სუფრაზე თანამეინახეობის ჟამს.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და, რომ მეგონა, დიდი ოჯახის (ორი ვაჟი, სამი შვილიშვილი) გაძღოლით დაკავებული მეგობარი „დიდ ავიაციას“ მოწყდა-მეთქი, სამეგრელოდან ძვირფასი საჩუქრით გამომეხმაურა.

„დიდი მდინარის პატარა შენაკადი“ — ასე დაუსათაურებია ავტორს საკმაოდ სქელტანიანი (216 გვერდი) პუბლიცისტური ნარკვევი, რომელსაც უყოყმანოდ შეგვიძლია მისი მშობლიური ჩხოროწყუს სპორტული ცხოვრება ვუწოდოთ.

პროფესიონალი ფილოლოგისა და ჟურნალისტის, რაიონული გაზეთის რედაქტორისა და კულტურის, სპორტისა და მშრომელთა წერილების განყოფილების გამგის ბიოგრაფიას საფეხბურთო კლუბ „თუთარჩელასა“ და „სამეგრელოს“ პრეზიდენტობა ადგას გვირგვინად, ასე რომ, აღნიშნული თემით მისი დაინტერესება სავსებით ლოგიკურად გამოიყურება. თუმცა, ოდაბადეს — ჩხოროწყუს საპატიო მოქალაქის, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირების, აგრეთვე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრის, ხოლო პენსიაზე გასვლის შემდეგ — ინდმეწარმის წინათქმა, რომელიც ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულად დამტკიცების 90 წლისთავისადმი მიუძღვნია, ყველას ნააზრევზე უკეთ გამოხატავს ბატონი ნუგზარის გულისთქმას:

**„დიდი მდინარის პატარა შენაკადს ნაკადული ჰქვია. თუ დიდ მდინარედ ქვეყნის სპორტულ ცხოვრებას წარმოვიდგენთ, მაშინ წიგნის სათაურიც ამოხსნილია. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში „ნაკადული“ ერქვა იმ საფეხბურთო გუნდს, რომელიც წყაროების სიუხვით ცნობილი ჩვენი რაიონის დასახელებას სიმბოლურად მიესადაგება.**

**...შემოთავაზებულ კრებულში ბევრი ისეთი პრობლემაა წინა პლანზე წამოწეული, დღესაც რომ აქტუალურია ჩვენში. სპორტული ნარკვევები, ინტერვიუები, სტატიები სხვადასხვა დროსაა შექმნილი, მათ შორის — პენსიაზე გასვლის შემდეგ, მოცალეობის ჟამს და ზოგი რესპუბლიკურ პრესაშია გამოქვეყნებული და ზოგიც — რაიონულ გაზეთში. დიდი დახმარება გამიწიეს მეგობრებმა, მოქმედმა და ვეტერანმა სპორტულმა მოღვაწეებმა, ამასთან, უბის წიგნაკებმა, რომლებსაც წლების წინათ, სპორტულ ჟურნალისტად მუშაობისას ვიყენებდი“.**




რედაქტორ გიგლა გობეჩიასა და ტექნიკურ რედაქტორ კოტე უბირიასთან შემოქმედებითი თანამშრომლობით მძივებად აკინძულ სტრიქონებს, დარწმუნებულნი ვართ, ობიექტური მკითხველი ღირსეულად შეაფასებს.

**გია პლატონიშვილი**

◎ იდეა

# რატომაც არა!

ჩვენი გაზეთის რედაქციის ძველი მეგობარი **ნიკოლოზ პატარქალიშვილი** კარგა ხანია არ შეგვხმიანებია.

ვიფიქრეთ, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა მის აქტიურობაზეც იმოქმედა, მაგრამ, თურმე, ვცდებოდით.

როგორც ახლახან არგენტინიდან მიღებულმა წერილმა დაგვარწმუნა, ჩვენი თანამემამულე განაგრძობს თანამშრომლობას სამხრეთ ამერიკის მხარესთან და ახალ, საინტერესო იდეას გვთავაზობს. ამ მასალის მომზადება ბატონი ნიკოს ესპანურის ცოდნით გახდა შესაძლებელი.

**„უპირველესად, პატივი მაქვს ფეხბურთის მოყვარულებსა და საზოგადოებრიობას საქართველოში და მსოფლიოში გავრცელებული კოვიდ-19 პანდემიის ეპოქაში გისურვოთ ჯანმრთელობა! აგრეთვე, არ შემიძლია არ გამოვხატო თქვენი სახელმწიფოსადმი ის დიდი მხარდაჭერა, რომელიც არგენტინის რესპუბლიკამ მსოფლიოს ქვეყნებიდან ერთ-ერთმა პირველმა თქვენი დამოუკიდებლობის ჯერ კიდევ 1919 წლის 15 სექტემბერს ცნობით ცხადჰყო, რასაც მოწმობს არგენტინის პრეზიდენტის იპოლიტო ირიგოიენის ხელმოწერა დეკრეტზე.**

**ვსარგებლობ შემთხვევით და გაცნობებთ, რომ 1999 წლის 18 დეკემბერს პატივი მქონდა გავცნობოდი შესანიშნავ პიროვნებას, თქვენს თანამემამულეს ნიკოლოზ პატარქალიშვილს. 1993 წელს მისი ძალისხმევით განხორციელდა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „რუსთავის“ მოგზაურობა არგენტინაში, რომელმაც 27 კონცერტი გამართა ჩვენს ქვეყანაში. ასევე, არგენტინული მხარის თხოვნით, რუსეთის ფედერაციის 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ტურნე არგენტინასა და ურუგვაიში, რომელმაც ერთი ამხანაგური თამაში გამართა არგენტინის 17-წლამდელთა ნაკრებ გუნდთან (მთავარი მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი) და ორი ამხანგური მატჩი ურუგვაიში (მთავარი მწვრთნელი ვიქტორ პუა). 2007 წლის აპრილში ნიკოლოზ პატარქალიშვილის შუამავლობით არგენტინაში დაგვიკავშირდა სფფ-ს გენერალური მდივანი უჩა უგულავა, რომელიც გვთხოვდა 2007 წლის 12 სექტემბერს არგენტინის ეროვნული ნაკრების მოწვევას საქართველოში თქვენს ნაკრებთან ერთი ამხანაგური მატჩის გასამართავად, მაგრამ სფფ-მ მაშინ ჩვენი ნაკრების მოწვევა ვერ მოახერხა.**

**არგენტინაში ინფორმირებულნი ვართ ნიკოლოზ პატარქალიშვილის სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტზე, რომელიც მიმართულია საქართველოსა და სამხრეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის „მერკოსურის“ კავშირის (არგენტინის, ბრაზილიის, ურუგვაისა და პარაგვაის) ქვეყნებს შორის კულტურული, სპორტული, ტურისტული და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისა და ხელშეწყობისაკენ.**

**აღნიშნული პროექტიდან ჩვენი ორგანიზაციისათვის ფრიად მნიშვნელოვანია საქართველოში საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირის ორგანიზება სამხრეთ ამერიკის ქვეყნების — არგენტინის, ბრაზილიის, ურუგვაისა და პარაგვაის ნაკრები გუნდების მონაწილეობით, რომელიც მიეძღვნება თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული ფეხბურთელების მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის ხსოვნას!**


ნიკოლოზ პატარქალიშვილი

**მსურს გაცნობოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის მოყვარულებისათვის დაუვიწყარია 1961 წელს ბუენოს აირესის „მონუმენტალის“ სტადიონზე გამართული ამხანაგური მატჩი სსრ კავშირისა და არგენტინის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის, რომელშიც ეს ორი ლეგენდარული ფეხბურთელი ბრწყინავდა და გამოირჩეოდა თამაშის უმაღლესი და შეუდარებელი კლასით!**


გილერმო ტოფონი

**ჩვენის მხრივ, მათი სახელობის ტურნირის მატჩების ტელერეპორტაჟების გადაცემას დავგეგმავთ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თქვენი ქვეყნის ცნობადობის გაზრდას და გზას გაუხსნის ეკონომიკური კავშირების დამყარებას სხვადასხვა სექტორებთან.**

**რაც შეეხება ბავშვთა ფეხბურთის განვითარებასა და მაღალი დონის საფეხბურთო კლუბების ჩამოყალიბებას საქართველოში, ჩვენს შესაძლებლობებშია შემოგთავაზოთ არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დაფუძნება საქართველოში, რომელიც მოამზადებს პროფესიონალ ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, ფიზიკური მომზადების სპეციალისტებსა და სხვ. აღნიშნულ ინსტიტუტს ექნება საფეხბურთო აკადემიები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.**

**ჩვენის მხრივ, დაინტერესებულნი ვართ დავამყაროთ ნაყოფიერი თანამშრომლობა საქართველოსთან, ფეხბურთის ტრადიციების მქონე ქვეყანასთან, რომლის შესახებაც ა.წ. 8 ივნისს ვაცნობეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი გახარიასა და პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესა და „ქართუ“ ფონდის დამფუძნებელს ბიძინა ივანიშვილს, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს თორნიკე რიჟვაძეს. მოწვევის შემთხვევაში, გამოვთქვამთ მზადყოფნას მოლაპარაკებები გავმართოთ საქართველოში.**

**და ბოლოს, ვადასტურებთ, რომ ნიკოლოზ პატარქალიშვილი არის ჩვენი წარმომადგენელი საქართველოში, რომელიც უფლებამოსილია წინასწარი მოლაპარაკებები აწარმოოს სახელმწიფო და სხვა ნებისმიერი ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირებთან ზემოთ აღნიშნული ინიციატივების, როგორც ფეხბურთის ტექნოლოგიური ინსტიტუტის, ასევე, საერთაშორისო ტურნირში სამხრეთ ამერიკის ნაკრები გუნდების მოწვევისა და მათი მონაწილეობის, თაობაზე.“**

პატივისცემით,

**გილერმო ტოფონი —**

„ვორლდ ელევენის“ პრეზიდენტი;
ფიფას მატჩების აგენტი;
არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი.

**გიორგი შოთაძე**

# „სად ხართ, თქვე ნაძირალებო!..“

## ბრძოლა დრონებით: მომავლის ომის სახე მთიან ყარაბაღში

**უპილოტო** საფრენმა აპარატმა ჯერ ავისმომასწავებელი ზუზუნით გადაუფრინა გამომშრალ ლანდშაფტს და შემდეგ ზუსტი სროლით ცეცხლის ალში გახვია პატარა ავტობუსი.

„სად ხართ, თქვე ნაძირალებო!“ — გაიძახის სომხურად ერთ-ერთი ჯარისკაცი, როცა სხვები შაშხანების ცეცხლით ცდილობენ დრონის ჩამოგდებას.

უპილოტო საჰაერო აპარატები, რომლის ერთ-ერთი ნიმუში გასულ კვირაში სოციალურ მედიაში ფართოდ გავრცელებულ ვიდეოში ჩანს, სიახლეს არ წარმოადგენს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში. ოთხი წლის წინათ სადავო რეგიონში დაწყებულ მასშტაბურ საბრძოლო ესკალაციაში ასევე გამოიყენებოდა ე.წ. „კამიკაძე დრონები“.

იგივე განმეორდა მიმდინარე წლის ივლისის შუა რიცხვებში, მცირე შეტაკებისას აზერბაიჯანის თოვუზის რაიონში, რომელიც სომხეთის ტავუშის ოლქს ესაზღვრება.

საერთაშორისო საზოგადოების მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილად აღიარებული მთიანი ყარაბაღი ეთნიკური სომხური ძალების კონტროლქვეშ იმყოფება 1994 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგ, რითაც დასრულდა ორი წლის განმავლობაში მიმდინარე მასშტაბური სამხედრო კონფლიქტი.

სექტემბრის ბოლოდან აზერბაიჯანისა და სომხეთის სამხედრო ძალები 1994 წლის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ ბრძოლებში აღმოჩნდნენ ჩაბმული.

წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, ბრძოლის ველზე კიდევ უფრო ინტენსიურად გამოიყენება უპილოტო საფრენი აპარატები — დრონები. ისინი განსაზღვრავენ მიმდინარე საომარი მოქმედების ხასიათს და, ამასთან, გვიქმნიან წარმოდგენას იმაზე, თუ როგორი შეიძლება იყოს მომავალი ომები, რომლებიც შესაძლოა, გაჩაღდეს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, მათ შორის, სავარაუდოდ, კავკასიაში.

### „კამიკაძე დრონების“ უპირატესობა

**მნიშვნელოვანი** სამხედრო-საჰაერო ძალებს არ ფლობს არც სომხეთი და არც აზერბაიჯანი. მიჩნეულია, რომ სომხეთის შეიარაღებაშია არაუმეტეს „სუხოის“ ფირმის 18 გამანადგურებელი, მათ შორის რამდენიმე საბრძოლო შვეულმფრენი და სატრანსპორტო-საწვრთნელი.

სხვადასხვა შეფასებით, აზერბაიჯანი ფლობს რუსული წარმოების 30 ერთეულ „მიგისა“ და „სუხოის“ კლასის სამხედრო თვითმფრინავს, საბრძოლო შვეულმფრენებს და სასწავლო-სატრანსპორტო თვითმფრინავებს.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა დაადასტურა თურქეთის F-16 ტიპის გამანადგურებლების მოქმედება აზერბაიჯანის საჰაერო სივრცეში, რაც ანკარასთან ბაქოს მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობაზე მეტყველებს.

ვინაიდან გამანადგურებელი ავიაცია ძალიან ძვირად ფასობს და, თანაც, არსებობს დიდი საფრთხე მფრინავების დაღუპვისა, ექსპერტების აზრით, უპილოტო ავიაცია შედარებით უფრო იაფი და უნივერსალური საშუალებაა ისეთ მცირე ბრძოლის ველზე, როგორიც მთიანი ყარაბაღია.

ორი მეომარი ქვეყნიდან აზერბაიჯანი უფრო თავისუფლად იყენებდა თავის უპილოტო ავიაციას, ვიდრე სომხეთი, რომელსაც უფრო მცირე ზომის ავიაცია აქვს. ბაქოს დრონების სამიზნეს წარმოადგენდა სომხეთის ტანკები, არტილერია და საჰაერო თავდაცვის სისტემა.

**„იოლი არ არის ამ ტანკსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განადგურება უპილოტო დრონებითა და რაკეტებით. ამგვარად, მოცემულ სიტუაციაში აზერბაიჯანმა, როგორც ჩანს, საბრძოლი მზადყოფნის უფრო მაღალი დონის დემონსტრირება მოახდინა“**, — განაცხადა რადიო თავისუფლებასთან ინტერვიუში **მეთიუ ბრაიზამ,** აშშ-ის ყოფილმა ელჩმა აზერბაიჯანში.

ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგების გაყიდვის შედეგად მიღებული დიდძალი შემოსავალი ბაქოს შესაძლებლობას აძლევდა, რომ მილიარდობით დოლარი დაეხარჯა არმიის მოდერნიზებაზე ძირითადად რუსეთისგან შეძენილი შეიარაღებისა და ტექნიკის წყალობით.

მაგრამ, ვინაიდან რუსეთი ჩამორჩება უპილოტო ტექნოლოგიების თვალსაზრისით, ამიტომ აზერბაიჯანმა თავის უპილოტო საბრძოლო პოტენციალის გასაძლიერებლად დახმარებისათვის ჯერ მიმართა ისრაელს, ბოლო ხანს კი თურქეთს.

მთიან ყარაბაღში კონფლიქტის ესკალაციამდე, ექსპერტების შეფასებით, აზერბაიჯანს უკვე ჰქონდა 200-მდე სხვადასხვა მოდელის უპილოტო საფრენი აპარატი.

უპილოტო აპარატების ნაწილი ასაფეთქებელი ნივთიერების დამონტაჟების შემდეგ, რაც არ არის რთული საქმე, პირდაპირ სამიზნის გასანადგურებლად არის განკუთვნილი. ასეთ უპილოტო საფრენ აპარატებს უწოდებენ „კამიკაძე“, ანუ „თვითმკვლელ“ დრონებს.

რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, აზერბაიჯანმა შეისყიდა თურქული წარმოების უპილოტო ავიაციის მოდელები. ლაპარაკია Bayraktar TB2-ზე, ამერიკული Reaper-ისა და Predator-ის მსგავს დრონებზე, რომლებსაც თურქეთი ფართოდ იყენებდა სირიაში და, როგორც იტყობინებიან, ლიბიაშიც.

**„TB2-ს აქვს ძლიერი გავლენა მთიანი ყარაბაღის ბრძოლის ველზე. ჩვენ ვხედავთ აზერბაიჯანის ისეთ სამხედრო წარმატებას, როგორიც არ გვინახავს 20, 25 წლის წინ“**, — ამბობს რობ ლი, აშშ-ის საზღვაო ქვეითი კორპუსის ყოფილი ოფიცერი და ამჟამად ლონდონის კინგს კოლეჯის ომის სწავლების მკვლევარი.



მეორე მკვლევარი **მაიკ ფოულერი,** ფიქრობს, რომ Bayraktar TB2-ს მართავდნენ არა აზერბაიჯანელი, არამედ თურქი სპეციალისტები.

### დრონების ფსიქოლოგიური ზემოქმედება და პროპაგანდა

**რამდენიმე** წელია, აზერბაიჯანს გაუჩნდა შესაძლებლობა ისრაელის Aeronautics Grou-ის ლიცენზიის მიხედვით თავადაც აწარმოოს უპილოტო საფრენი აპარატები და თავისუფლად განათავსოს ეს სატრანსპორტო საშუალებები იქ, სადაც უნდა.

**დენ გეტინგერი,** ბერდის კოლეჯში უპილოტო საფრენი აპარატების ცენტრის დამფუძნებელი, ამბობს, რომ მთიანი ყარაბაღის მიმდინარე კონფლიქტის გამო ჯერ კიდევ ჭირს ზუსტი ინფორმაციის მიღება. მკვლევარები იძულებული არიან, უფრო მეტად სოციალურ ქსელებს დაეყრდნონ, რადგან მოკონფლიქტე მხარეები ერთმანეთის თავგზის ასაბნევად ხშირად არაზუსტ ცნობებს ავრცელებენ.

ამ ვითარებაშიც კი ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ აზერბაიჯანი უფრო ფართოდ გამოიყენებს უპილოტო საფრენ აპარატ „კამიკაძეებს“.

ექსპერტების შეფასებით, სომხეთის დრონების პარკი ერთობ მოკრძალებულად უნდა გამოიყურებოდეს. სომხეთმა 2011 წელს განაცხადა, რომ შეიარაღებული ძალებისათვის სახელმწიფომ შექმნა საკუთარი უპილოტო მფრინავი აპარატები — თავდაპირველად Krunk-ი, შემდგომ წლებში კი ორი სხვა მოდელი, Baze და Ptero-5.

მაგრამ ყველა ეს შიდა წარმოების დრონი დაზვერვისა და თვალთვალისთვის არის განკუთვნილი და არა „კამიკაძე დრონების“ მსგავსად, თვითგანადგურების გზით საბრძოლო მისიის შესასრულებლად.

უცნობია, თუ რამდენად გამოიყენა სომხეთმა უპილოტო ავიაცია მთიან ყარაბაღში საბრძოლო ესკალაციის ბოლო ეტაპზე. ზოგიერთი შეფასებით, სომხეთს შეიარაღებაში სულ რამდენიმე ათეული დრონი უნდა ჰქონდეს.

* * *

**ძნელი** დასადგენი აღმოჩნდა მთიან ყარაბაღში მიმდინარე საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა ზუსტი რიცხვი.

**მთიანი ყარაბაღის სამხედრო სარდლობამ 9 ოქტომბერს განაცხადა, რომ შეტაკების დროს დაკარგა სულ მცირე 350 მებრძოლი. აზერბაიჯანს არ გამოუქვეყნებია მონაცემები დანაკარგების შესახებ. სამხედრო მოქმედების შედეგად ორივე მხარეზე ათობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა და დაშავდა.**

**ასევე არ არსებობს მონაცემები ბრძოლის ველზე ჩამოგდებული უპილოტო საფრენი აპარატების შესახებ.**

**2 ოქტომბერს სომხეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ გაანადგურა აზერბაიჯანის კუთვნილი 107 ერთეული უპილოტო თვითმფრინავი, თუმცა ზოგიერთი მათგანი შესაძლოა ყოფილიყო სწორედ „კამიკაძე თვითმფრინავი“, რომლებმაც თავი განზრახ აიფეთქეს...**

**მაიკ ეკელი,**
**კობა ლიკლიკაძე.**

**სანთელი**

საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებით იუწყება ქალბატონი

**ციური (ცირა) ჯალიაშვილის**

გარდაცვალებას და უსამძიმრებს ოჯახსა და ახლობლებს.

# თაღლითობა უმძიმესი ზნეობრივი დანაშაულია!

**საქართველოს** ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქონების მესაკუთრის მოტყუებით დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს, — ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, გამოძიებით დადგენდა, რომ ბრალდებულმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მის დაქვემდებარებაში არსებული ორი კომპანიის სახელით, დეკლარაციებში ყალბი მონაცემების შეტანის გზით, დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილში შეიქმნა ზედმეტობა ჯამში 7 133 000 ლარის ოდენობით.

სისხლის სამართლის საქმეზე ეფექტიანად გატარებული ათეულობით საგამოძიებო მოქმედების შედეგად, დროულად იქნა აღკვეთილი აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება. ბრალდებულმა ხსენებული თანხიდან შეძლო მხოლოდ 224 996 ლარის ოდენობის აქტივის გამოყენება მიმდინარე საგადასახადო დავალიანების დასაფარად, რითიც ბიუჯეტზე აცილებულ იქნა დაახლოებით 6 900 000 ლარის ოდენობის ზიანის მიყენების საფრთხე.

* * *

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლებთან ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თაღლითობის ბრალდებით, 2 პირი: 1965 წელს დაბადებული მ.კ. და 1992 წელს დაბადებული ი.ზ. დააკავეს. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, რომლებიც დედა-შვილი არიან, მოქალაქეებს თანხების მოტყუებით მითვისებისა და ნდობის მოპოვების მიზნით ეცნობოდნენ, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლები.

დაკავებულები 30-ზე მეტ მოქალაქეს დაჰპირდნენ, რომ დაეხმარებოდნენ სოციალურად დაუცველისა და დევნილის სტატუსის მოპოვებაში, ასევე, ჰპირდებოდნენ საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვას და ბინებით უზრუნველყოფას, რის სანაცვლოდაც თითოეულ მოქალაქეს მოტყუებით გამოართვეს და მიითვისეს თანხები — 2 000 ლარიდან 10 000 აშშ დოლარამდე. გარდა ამისა, ბრალდებულებმა, თითქოსდა მისაღებ საცხოვრებელ ფართებში ავეჯის განთავსების სანაცვლოდ, ამავე მოქალაქეებისაგან დამატებით, მოტყუებით მიითვისეს ფული — 500-500 ლარის ოდენობით.

# რუსთავში მერაბ კოსტავას ბიუსტი გაიხსნა

**რუსთავში, მერაბ კოსტავას გამზირზე, №1 საცხოვრებელ კორპუსთან მერაბ კოსტავას ბიუსტი გაიხსნა. ქალაქის ცენტრალურ გამზირზე საქართველოს ეროვნული გმირის ბიუსტის განთავსება რუსთავის მერიისა და საზოგადოება „რუსთაველების“ ერთობლივი პროექტია.**

ბიუსტის ავტორი რუსთაველი მოქანდაკე ვალერი ჯიქიაა.

რუსთავის მერიამ მერაბ კოსტავას გამზირის სრული რეაბილიტაცია განახორციელა. სარეაბილიტაციო სამუშაოები გასული წლის ნოემბერში დაიწყო.

შენობების ფასადები არქიტექტურული სტილის შენარჩუნებით აღდგა, გამოიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაცია და წყალარინების სისტემა, განახლდა ასფალტის საფარი, მოპირკეთდა ტროტუარები, მოეწყო გარე განათების ენერგოეფექტური ქსელი, რეკრეაციული სივრცე, ველობილიკები, დაიხაზა საპარკინგე ზოლები და გადასასვლელები.

# ახალი ნობელიანტები

**ეკონომიკის დარგში ნობელის პრემია მიენიჭათ ამერიკელ მეცნიერებს — პოლ მილგრომსა და რობერტ უილსონს. მეცნიერებს ჯილდო „აუქციონების თეორიის გაუმჯობესებისა და აუქციონის ახალი ფორმატების გამოგონებისთვის“ გადაეცათ.**

ნობელის კომიტეტში განაცხადეს, რომ მათი სამეცნიერო ღვაწლი მთელი მსოფლიოს მოვაჭრეებს, მყიდველებსა და გადასახადის გადამხდელებს უდიდეს სარგებელს მოუტანს.

გასულ კვირას ცნობილი გახდა ნობელის პრემიის სხვა ლაურეატები. მშვიდობის დარგში პრემია მიენიჭა გაეროს სურსათის პროგრამას, ლიტერატურის დარგში — ამერიკელ პოეტს ლუიზა გლუკს, ქიმიის დარგში ემანუელ შარპანტიესა და ჯენიფერ დუდნას, ფიზიკის დარგში როჯერ პერნოუზს, რეინჰარდ გენცელსა და ანდრეა გაზს. მედიცინისა და ფიზიოლოგიის დარგში კი პრემიის ლაურეატები გახდნენ ბრიტანელი მეცნიერი მაიკლ ჰოუტონი, ხარვი ალტერი და ჩარლზ რაისი C ჰეპატიტის ვირუსის კვლევისთვის.

# უძველესი ბურთი ევრაზიაში

**ჩინელებმა ბურთით თამაში 3 200 წლის წინ დაიწყეს. ამის შესახებ ციურიხის უნივერსიტეტის მეცნიერები აცხადებენ.**

ყველაზე პირველად ბურთით თამაში ეგვიპტეში დაიწყეს, რადგან სამარხი, სადაც ბურთი იპოვეს, 4 500 წლისაა. ევროპასა და აზიაში ბურთის გამოყენება გაცილებით გვიან დაიწყეს, შემდეგ კი — ჩინეთში.

ნაპოვნი ბურთები ტყავისგანაა დამზადებული და მათი დიამეტრი 7-9 სანტიმეტრია. ბურთები ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ნაპოვნ სამარხებში აღმოაჩინეს. სამარხების ასაკი 2 900-3 200 წელია. მეცნიერებმა ასევე სამარხებში იპოვეს მშვილდი და რამდენიმე შარვალი. როგორც ჩანს მშვილდის მფლობელები მხედრები იყვნენ. მკვლევარები აცხადებენ, რომ შესაძლოა, ბურთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი იყო მეომრების მოსამზადებლად.




# პრეზიდენტის დაინფიცირება გაიგო და... გული გაუჩერდა

**ინდოელი მამაკაცი, რომელიც დონალდ ტრამპს აღმერთებდა და დამწუხრებული იყო იმის გამო, რომ აშშ-ის პრეზიდენტი კორონავირუსით დაინფიცირდა, გულის გაჩერებით გარდაიცვალა.**

ბუსა კრიშნა აცხადებდა, რომ მას დონალდ ტრამპი სიზმარში გამოეცხადა. რამდენიმე დღის წინ მან „ფეისბუქის“ გვერდზე სევდიანი ვიდეო გამოაქვეყნა, რომელშიც თავისი კერპის გამოჯანმრთელებას ითხოვდა.

# კიმ ჩენ ინმა სამხედრო აღლუმზე იტირა

**კიმ ჩენ ინმა ჩრდილოეთ კორეაში გამართულ სამხედრო აღლუმზე იტირა — მან საზოგადოებას ბოდიში მოუხადა კორონავირუსის დაავადების გავრცელების სათანადოდ ვერშეკავებისა და წარუმატებლობის გამო. ნიღბის გარეშე სიტყვით გამოსულმა კიმმა ქვეყნის მმართველი პარტიის 75 წლისთავზე თავის ხალხს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ჩვენი ხალხი მე იმ სიმაღლემდე მენდობოდა, სანამდეც ცაა და აგრეთვე ისეთი სიღრმით სწამდათ ჩემი, როგორც ეს ზღვაშია, თუმცა მე ვერ შევძელი მეცხოვრა მათთვის, სათანადოდ ვყოფილიყავი დამაკმაყოფილებელი. მე ძალზე ვწუხვარ ამის გამო.**

მიუხედავად იმისა, რომ მე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა მაკისრა ამ ქვეყნის წარმართვისა და ხალხის წინაშე, ჩემი გულწრფელობა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ ხალხი ცხოვრებაში არსებული სირთულეებისგან დამეცვა“ — განაცხადა კიმმა.

ჩრდილო კორეის ლიდერის აღნიშვნით, მის ხალხს სამი ძირითადი გასაჭირი აქვთ, რომლებიც მათ ძლიერ დარტყმას აყენებს — ესენია კოვიდ 19, საერთაშორისო სანქციები და ბუნებრივი კატასტროფები.

# საფრანგეთში შეიძლება, კომენდანტის საათი დაწესონ

**საფრანგეთის მთავრობა რამდენიმე ქალაქში, მათ შორის პარიზში, კორონავირუსის გავრცელების შესაჩერებლად კომენდანტის საათის დაწესებას არ გამორიცხავს.**

როგორც საფრანგეთის შინაგან საქმეთა უმცროსმა მინისტრმა მარლენ შიაპამ კომენდატის შესაძლო დაწესებასთან დაკავშირებით განაცხადა, „ყველა ზომა განიხილება, გამორიცხული არაფერია“.

ბოლო 24 საათის განმავლობაში საფრანგეთში კორონავირუსის 8 505 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, რაც გასულ დღეებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებული მაჩვენებელია. ბოლო დღეღამეში საფრანგეთში „კოვიდ-19“-ით 95 კოვიდინფიცირებული გარდაიცვალა. მსხვერპლთა საერთო რაოდენობა ქვეყანაში 32 825-ს შეადგენს პანდემიის დასაწყისიდან დღმდე, საფრანგეთში სულ კორონავირუსის 743 479 შემთხვევაა გამოვლენილი.

**ყოველგვარი რეკლამა გაზეთის დახმარებაა!**

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 16 ოქტომბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.2197; ევრო - 3.8002;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1898;
100 რუბლი - 4.1787; თურქული ლირა - 0.4079;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8953;
1000 სომხური დრამი - 6.5557.

**ამინდი 13 ოქტომბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +9, | დღე | +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +4, | დღე | +26 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე | +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე | +29 |
| **თბილისი:** | ღამე | +12, | დღე | +26 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge